მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მაისი (სივანი) №5 (478) (5781) 2021

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ისევ ცეცხლი!

10 მაისიდან მოყოლებული ისრაელის ქალაქები და დაბები ცეცხლის ალშია გახვეული. ღაზას სექტორიდან ჯერ აშკელონისა და აშდოდის მიმართულებით გაშვებული იქნა უამრავი რაკეტა, მოგვიანებით — 11 მაისს კი ტერორისტების მიერ ისრაელის მიმართულებით გაშვებულმა 1500 რაკეტამ ქვეყნის ცენტრალურ რაიონებს მიაღწია. თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ რაკეტების 85% ანტისარაკეტო სისტემამ — „რკინის თაღი“ გაანეიტრალა. მიუხედავად ამისა, დაიღუპა 6 ისრაელელი: ორი აშკელონში, ერთი — რიშონ ლე ციონში, მამა-შვილი (გოგონა) ქ. ლოდის სიახლოვეს.ერთიც თელ-ავივში დაიწვა საცხოვრებელი სახლები, განადგურდა დიდძალი ინფრასტრუქტურა.

„ცაჰალმა“შეუტია ტერორისტთა ერთ-ერთი ლიდერის სახლს, რომელიც დაზვერვის მონაცემებით, იარაღის საწყობად გამოიყენებოდა, თუმცა, ვიდრე სახლს დაბომბავდნენ, არმიის მეთაურებმა გააფრთხილეს ახლომდებარე ოჯახები, დროებით გაცლოდნენ ტერიტორიას. განადგურდა ტერორისტთა რამდენიმე მეთაური, 12 მაისს „ჰამასმა“ საერთაშორისო ორგანიზაციების მეოხებით ცეცხლის შეწყვეტა ითხოვა, რაზეც ისრაელი არ დათანხმდა. აშშ ადმინისტრაცია თანადგომას ისრაელს უცხადებს. ერდოგანი კი პუტინს თხოვს დასაჯოს ისრაელი.

სარეაბილიტაციო ცენტრი

თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ, ქალაქ მიგდალ ჰა ემეკის რაბინმა და ისრაელის რაბინთა საბჭოს წევრმა იცხაკ დავით გროსმანმა დააფუძნა სასწავლო დაწესებულებათა ქსელი „მიგდალ ორ“. სადღეისოდ ეს ქსელი განაგებს ბავშვებზე ზრუნვა-მოვლის ათობით ცენტრს: საბავშვო ბაღებს, დაწყებით და საშუალო სკოლებს, სტუდიებსა და პროფესიულ სასწავლებლებს.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გამგეობის თავმჯდომარის — აარონ გ. ფრენკელის ინიციატივით, კონგრესი მხარს უჭერს ამ ორგანიზაციას, რომელიც რთულად აღსაზრდელ ბავშვთა გარდაქმნის, სწავლის, პროფესიის მიღების სოციალურ სფეროში ერთობ მნიშვნელოვან ნიშას იჭერს — აქ აღზრდილნი „ცახალის“ წარმატებულ მეომრებადაც გვევლინებიან. ეაე კონგრესი სისტემატურად აფინანსებს სისტემის სოციალურ ინიციატივებს.

ეთერ ფიჩხაძე ისრაელიდან გვატყობინებს:

ტრაგედია მერონის მთაზე

30 აპრილის ღამეს ებრაული დღესასწაულის, ლაგ ბა ომერის საზეიმოდ მერონის მთაზე ასული მლოცველების ერთ-ერთი ტრიბუნიდან დაშვებისას შეკრებილთა მიწოლის გამო, დატრიალდა საშინელი ტრაგედია. სწორედ იმ რაიონში, სადაც ხასიდები ზეიმობდნენ. თვითმხილველთა მონაყოლის თანახმად, სხვა ტრიბუნებზე გვიან გაიგეს, რომ ტრაგედია დატრიალდა და ხალხს დახმარება სჭირდებოდა, რამეთუ იქ მუსიკა გრძელდებოდა და ამდენად, დაჭრილთა ხმები არ ესმოდათ. 45 მლოცველი დაიღუპა,150-ზე მეტი დაშავებულია. ამჟამად ისრაელის საავადმყოფოებში 16 დაზარალებული რჩება, რომელთაგან 6 მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

მერონის მთაზე მლოცველებთან ერთად ისრაელის მთავრობის ბევრი მინისტრი და პოლიტიკოსიც იმყოფებოდა. პრემიერ მინისტრმა ბინიამინ ნათანიაჰუმ სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახებს და 2 მაისი ეროვნული გლოვის დღედ გამოაცხადა. მთელს ისრაელში სახელმწიფო დროშები დაშვებულია. ყოველწლიურად ლაგ ბა ომერის დღესასწაულის აღსანიშნავად, მერონის მთაზე 100-დან 300 ათასამდე მლოცველი იყრის თავს. ორგანიზატორთა ძალისხმევის მოუხედავად, ეს ტერიტორია უვარგისია ასეთი დიდი რაოდენობის მლოცველთა დასატევად. ყოველწლიურად ათობით მორწმუნე ღებულობდა გარკვეულ ტრავმებს, მაგრამ დღემდე მსგავსი ტრაგედია არ დატრიალებულა.

„ხსოვნის სანთელთან“

9 აპრილს — ფაშიზმზე გამარჯვების საზეიმო დღეს, იერუსალიმში მონუმენტთან — „ხსოვნის სანთელი“ ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის ინიციატივით, გაიმართა გვირგვინების მიტანის ცერემონიალი. ცერემონიალზე მივიდნენ ეაე კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი, გენერალური დირექტორი ხაიმ ბენ იაკობი, ისრაელის ქნესეთის წევრები, ისრაელში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები. მიხეილ მირილაშვილმა TACC-ის კორესპოდენტთან საუბარში თქვა:

— გამარჯვების დღე ისრაელში სახელმწიფოებრივად აღინიშნება. ჩვენ მადლიერნი ვართ ანტიჰიტრელური კოალიციის სახელმწიფოების, გვახსოვს საბჭოთა არმიის გმირობა, რომელმაც გაანადგურა ფაშისტური გერმანია. დღეს, როგორც სიმღერაშია ნათქვამი, თვალზე ცრემლმომდგარნი ვდღესასწაულობთ — ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ ომმა, მაგრამ გამარჯვებაც დიადი იყო.

საინტერესო გამოფენა

22 აპრილს ისრაელის საელჩოს მხარდაჭერით მშვიდობის კათედრალში გაიხსნა გამოფენა: „იერუსალიმი – არა მხოლოდ ქალაქი“. გამოფენაზე წარმოდგენილია ისრაელელი ფოტოგრაფის, დიმიტრი ბრიკმანის ფოტო ნამუშევრები, რომელიც ასახავს ადგილობრივ მლოცველებსა და პილიგრიმებს და გადმოსცემს იმ რელიგიურ მრავალფეროვნებას, რომელიც ასე დამახასიათებელია იერუსალიმისთვის.

გამოფენა განხორციელდა სახელოვნებო პროგრამა „ტრანსცენდენტალიას“ ფარგლებში და გრძელდება 22 მაისამდე. გამოფენის გახსნისას დამსწრეთ მიმართეს ბაპტისტურ-ევანგელისტური ეკლესიის მეთაურმა საქართველოში მალხაზ სონღულაშვილმა და ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რან გიდორმა.

განცხადება

2021 წლის 23 მაისს 10.00-დან 16.00-მდე ჩატარდება თბილისის დიდი სინაგოგის გაბაის (გამგეობის თავჯდომარე) არჩევნები.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი.

არჩევნებში მონაწილე კანდიდატების წარდგენა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე საინიციატივო ჯგუფებს 2021 წლის 20 მაისის 16.00 საათამდე.

საკონტაქტო ტელეფონი 577-789478, 599-790049.

თბილისის დიდი სინაგოგის საარჩევნო კომისია

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

ებრაელები საქართველოში:

ისტორიულ-დემოგრაფიული ნარკვევი

რევაზ გაჩეჩილაძე

(დასასრული.
დასაწყისი იხ. „მ“ №3,№4)

ებრაული მოსახლეობა საბჭოთა საქართველოში

აშკენაზი ებრაელები ადვილად შედიოდნენ შერეულ ქორწინებაში არაებრაელებთან და მათ შვილებს შეეძლოთ განეცადათ ძალდაუტანებელი ასიმილაცია. პატრიარქალურ გარემოში კი ანალოგიური დემოგრაფიული ქცევა ნაკლებ მოსალოდნელი იყო.

1930-იანი წლებიდან მკაფიოდ ჩანს საბჭოთა კავშირში მცხოვრები ებრაელობის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება. ეს ქართველ ებრაელებსაც შეეხო, რომელთა ქალების მიერ უმაღლესი განათლების მიღება 1930-იანი წლების ბოლომდე იშვიათი მოვლენა იყო.

II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იზრდებოდა ქართველი ებრაელების ინტეგრაცია საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.ზოგიერთმა მათგანმა სერიოზული წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს ებრაელების ემიგრაცია

1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან კრემლმა გადაწყვიტა ეთამაშა „არაბული სახელმწიფოების მფარველის“ როლი და დაიწყო მუშაობა მათ შორის ყველაზე ანტი-ისრაელურად განწყობილი სახელმწიფოების — ეგვიპტისა და სირიის, სამხედრო პოტენციალის ასამაღლებლად.

1967 წელს, “ექვსდღიან ომში” მეზობელ არაბულ ქვეყნებზე ისრაელის სახელმწიფოს გამარჯვებამ იმოქმედა საბჭოთა კავშირის ებრაელების პოლიტიკურ განწყობაზე. იქამდე დაფარული სიონისტური მისწრაფებები ზედაპირზე ამოვიდა. საბჭოეთის ებრაელებისათვის, მათ შორის საქართველოში მცხოვრებთათვისაც თვალნათელი გახდა ისრაელის სიცოცხლისუნარიანობა.

1967 წელს კრემლმა ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. კრემლის ანტი-ისრაელური კურსი ებრაული წარმოშობის მოქალაქეთა მდგომარეობაზეც აისახა. ოფიციალურად გამოუცხადებელი, მაგრამ რეალური შეზღუდვების გამო ებრაელთა როლმა საბჭოეთის ცხოვრების ბევრ სფეროში შემცირება დაიწყო. ამავე დროს, საბჭოთა ხელმძღვანელობა ეწინააღმდეგებოდა ქვეყნიდან მასობრივ ემიგრაციას, მითუმეტეს ეთნო-რელიგიური ნიშნით.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ებრაული ემიგრაციის საწინააღმდეგოდ ძირითადად ასეთ მოსაზრებებს ეყრდნობოდა:

- ებრაული ემიგრაცია შექმნის პრეცედენტს სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მოთხოვნებისათვის;
- ერთი ეთნიკური ჯგუფის მასობრივი ემიგრაცია დაარღვევს თეზისს (სინამდვილეში — მითს) „საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის შესახებ”;
- სტრატეგიულად სახიფათოა ებრაული (ძირითადად – აშკენაზი) წარმოშობის მეცნიერებისა და ტექნიკოსების საზღვარგარეთ გაშვება, რადგან ისინი ფლობენ საბჭოთა კავშირისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სამხედრო-ტექნიკურ ინფორმაციას.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, 1960-იანი წლების მიწურულიდან საბჭოთა კავშირიდან ებრაელთა მასობრივი ემიგრაცია შესაძლებელი გახდა. პირველი რესპუბლიკა, საიდანაც მოხდა მათი გასვლა, იყო საქართველოს სსრ — 1969 წელს ქართველ ებრაელთა 18-მა პირმა გაეროს მიაწვდინა კოლექტიური წერილი, სადაც ისინი უჩიოდნენ საბჭოთა მთავრობას, რომელიც ზღუდავდა მათ ბუნებრივ უფლებას აერჩიათ საცხოვრებელი ქვეყანა, ამ შემთხვევაში – ისრაელი. წერილი გახმაურდა და მისი მიჩუმათება შეუძლებელი გახდა.

ქართველი ებრაელების აბსოლუტურ უმრავლესობას სამხედრო საიდუმლოებასთან შეხება არჰქონდა და კრემლში, ალბათ, მიიჩნიეს, რომ შედარებით მცირერიცხოვანი ქართველი ებრაელების ემიგრაცია, რისი ნებართვაც ფორმალურად უნდა გაეცა საქართველოს სსრ მთავრობას, არ დააზარალებდა საბჭოთა მეცნიერებასა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა იმდროინდელი მინისტრი ე. შევარდნაძე არ ეწინააღმდეგებოდა ებრაულ ემიგრაციას: ქართველ ებრაელთა საკმაო ნაწილი ამას დღემდე მადლიერებით იხსენებს.

საქართველოს ებრაელობის ეკონომიკური მდგომარეობა ცუდი არ იყო. ამას ისიც განაპირობებდა, რომ არც თუ ცოტა მათგანი ჩართული იყო იმდროინდელი საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელ “ჩრდილოვან ეკონომიკაში”, რაც საკმაო ქონების დაგროვების საშუალებას იძლეოდა.

საქართველოს ებრაულ მოსახლეობას არ ეზღუდებოდა რელიგიული რწმენის შენარჩუნებისა და რიტუალების აღსრულების უფლება. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში იმ დროს მოქმედი სინაგოგების საგრძნობი ნაწილი საქართველოში მდებარეობდა (30-ზე მეტი),მაშინ როცასაქართველოში მთელი კავშირის ებრაელობის ორი პროცენტი ცხოვრობდა.

საქართველოდან ებრაულ ემიგრაციას ვერ დავუკავშირებთ შევიწროებას, თუ ასეთად არ მივიჩნევთ საბჭოთა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მართლაც აუტანელ გამომძალვე-ლობას, რომელიც მატულობდა საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, „ჩრდილოვანი საქმოსნების“ (მათი ეროვნების მიუხედავად) სიმდიდრის მატების პარალელურად.

1960-1970-იანი წლების მიჯნაზე “დიდი ალია” საქართველოდან განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა, მათგან გადამწყვეტი აღმოჩნდა სოციალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ფაქტორები.

სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორი გამოიხატებოდა იმაში, რომ ჯამაათის (ებრაული თემის) სულიერი ხელმძღვანელები, რომლებიც დაბასოფლებში მცხოვრებ ებრაელთა შორის დიდ ავტორიტეტს ფლობდნენ, აქცენტს აკეთებდნენ რელიგიურ იმპერატივზე. ებრაელთა ბევრი ოჯახი და ცალკეული ადამიანი გადაწყვეტილებას ღებულობდა თემის ლიდერების გავლენით, ან თემის სხვა წევრების მაგალითის გათვალისწინებით. მასობრივი ემიგრაციის გამო ჯამაათის წევრების რაოდენობა გარშემო სწრაფად კლებულობდა და მარტო დარჩენის შიშით მშობლიური კუთხიდან იყრებოდა ბევრი ისეთი ოჯახი, რომლის ზოგიერთი წევრი ემიგრაციის წინააღმდეგი იყო. ამ უკანასკნელთა ნაწილისათვის ემიგრაცია პირად ტრაგედიას წარმოადგენდა.

იმ პერიოდის ემიგრაციაზე ზემოქმედებდა თავისებური პოლიტიკური ფაქტორიც: საბჭოთა კავშირის კომუნისტური ხელმძღვანელობა იმდენად ძნელად პროგნოზირებადი იყო, რომ ბევრი ჩქარობდა ესარგებლა 1960-იანიწლების მიწურულში ემიგრაციის მოულოდნელად გახსნილი შესაძლებლობით, რომელიც მალე შეიძლებოდა დახურულიყო. 1970-იანი წლების შუაგულში მართლაც ასე მოხდა: ემიგრაციის შესაძლებლობა შემცირდა.

რასაკვირველია, მოქმედებდა გარკვეული ეკონომიკური ფაქტორიც: ნათელი იყო, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით, აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში, ცხოვრების დონე ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

თავის მხრივ, ისრაელი დაინტერესებული იყო მიეზიდა ებრაული დიასპორების მოსახლეობა.

1979 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერამ აჩვენა, რომ საქართველოს აშკენაზი ებრაელების მხოლოდ 41 პროცენტი, ხოლო ქართველი ებრაელების 76 პროცენტი ცხოვრობდა მთლიანად ებრაულ ოჯახში[Константинов, გვ. 73]. შესაბამისად, მრავლად იყო ეთნიკურად შერეული ოჯახი, სადაც შვილებს გაუჩნდათ “ეროვნების არჩევის” შესაძლებლობა.

ბევრმა “ჰალახისმიერმა ებრაელმა”, ხშირად ქართული გვარებით, გაამჟღავნა თავისი ეროვნება, მაშინ როცა იქამდე ისინი სხვა ეროვნების პირებად იყვნენ მიჩნეული. ასეთ პირებს ისრაელი იმიგრაციის უფლებას აძლევდა.

ებრაული ოჯახების არა-ებრაელი წევრებიც იყენებდნენ ყველა საშუალებას, რომ გაეღწიათ საბჭოთა კავშირიდან. ემიგრაციის უფლების მოსაპოვებლად ზოგიერთმა არა-ებრაელმა სასწრაფოდ გააფორმა, ხშირად, ფიქტიური, ქორწინება ებრაელ პირთან. აღინიშნებოდა ფაქტები, როდესაც საქართველოში ჩამოდიოდნენ და ადგილობრივ მცხოვრებლებად ეწერებოდნენ ებრაელები სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან, რადგან იქიდან ემიგრაციის საშუალება მათ არჰქონდათ.

სხვადასხვა წყაროზე დაყრდობით ვ. კონსტანტინოვმა შეადგინა ცხრილი, სადაც მოცემულია ებრაული ემიგრაციის რიცხობრივი მაჩვენებლები საბჭოთა რესპუბლიკების მიხედვით.

ამ მონაცემებით საქართველოდან 1959-1978 წლებში ემიგრაციაში წავიდა 29,9 ათასი ებრაელი (მათ შორის 28 ათასი 1969-1972 წლებში), რაც იმ პერიოდში მთელი საბჭოთა კავშირიდან გასულ ებრაელთა 16,3 (!) პროცენტს შეადგენდა.

1970-იანი წლების დასაწყისში ებრაელებისაგან პრაქტიკულად დაიცალა ქალაქები და დაბები: კულაში, სურამი, ონი, სენაკი, ცხინვალი, ვანი, სუჯუნა, ბანძა, სადაც ისინი მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს, ზოგან უმრავლესობასაც კი შეადგენდნენ. საერთო ჯამში ამან საქართველოს დემოგრაფიულ და ეკონომიკურ პოტენციალზე უარყოფითად იმოქმედა.

მომდევნო ათწლეულში (1979-1988 წწ.) ემიგრაციამ იკლო და საქართველოდან გავიდა სულ 4,8 ათასი ებრაელი (მათგან 3,3 ათასი ისრაელში წავიდა, ხოლო 1,5 ათასი – აშშ-ში).

1989-2006 წლებში ემიგრაციამ ისევ იმატა და საქართველოდან გავიდა 24,7 ათასი ებრაელი (მათგან 22,6 ათასი – ისრაელში წავიდა, 2,0 ათასი – აშშ-ში და 0,3 ათასი – გერმანიაში).

1980-იანი წლების მიწურულში და 1990-იანი წლების დასაწყისში ალია საქართველოდან განახლდა. ამჯერად ის შეეხო დიდ ქალაქებში, მათ შორის, თბილისში მცხოვრებ ებრაელებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში წარმოქმნილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა, პოლი-ტიკურმა არასტაბილურობამ, დამნაშავეობის მკვეთრმა ზრდამ ემიგრაციისაკენ უბიძგა არა მარტო ებრაელებს, არამედ სხვა ეთნოსების მრავალ წარმომადგენელსაც.

მაგრამ სხვა ეთნოსების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ებრაელებს ელოდნენ ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში. მათი შედარებით მცირე რაოდენობა წავიდა აშშ-ში, გერმანიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

2002 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ აჩვენა, რომ ქვეყანაში სულ 3772 ებრაელი იყო დარჩენილი[საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I.საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2003].

2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალების ცხრილში ეთნიკური კუთვნილების შესახებ ებრაელები ცალკე ჯგუფად არც გამოუყვიათ და ისინი“სხვების” კატეგორიაში შეიტანეს.მაგრამ აღწერის მასალებში მითითებულია, რომ ქვეყანაში აღირიცხა იუდაისტური აღმსარებლობის 1,4 ათასი ადამიანი [მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. ზოგადი ინფორმაცია. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) 28.04.2016].

საქართველოდან ებრაული მოსახლეობის ემიგრაცია ქვეყნისათვის დიდი დანაკარგია.

მეორე მხრივ, ალიის უშუალო მონაწილეებისა და, განსაკუთრებით, მათი შთამომავლობის წვლილი ისრაელის სახელმწიფოს განვითარებაში, საბოლოო ჯამში, საკმაოდ თვალსაჩინო იქნება.

1960-1970-იანი წლების მიჯნაზე ისრაელში ასული ქართველი ებრაელებისათვის ადგილზე ადაპტაცია ადვილი არ აღმოჩნდა. ეს ოლიმები (იმიგრანტები) უმეტესწილად ამოვიდნენ საქართველოს დაბებიდან და პატარა ქალაქებიდან, სადაც ისინი მხოლოდ ქართულად მეტყველებდნენ და მათი მცირე რაოდენობა თუ ფლობდა უცხო ენას, ისიც რუსულს. ოლიმების პირველი თაობისათვის ებრაული ენის შესწავლა და “კაპიტალისტური ცხოვრების წესთან” შეგუება მარტივი არ იყო. საბჭოთა კავშირში მათთვის ჩვეული „ეკონომიკური ქცევა“ ისრაელში არ გამოადგათ: ის, რასაც ზოგიერთი მათგანი დაუსჯელად ჩადიოდა „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ პირობებში, დასჯადი აღმოჩნდა ისრაელში, სადაც კანონს განუხრელად იცავდნენ. მიუხედავად ამისა, ათიოდე წელიწადში საქართველოდან წასული ოლიმების აბსორბცია (შეწოვა, შეწყმა)ისრაელის საზოგადოებაში საკმაო წარმატებით განხორციელდა.

ისრაელში და სხვა ქვეყნებში წასული ქართველი ებრაელების დიდი ნაწილი ინარჩუნებს კეთილ გრძნობას საქართველოს მიმართ, ოჯახების ნაწილი სახლში ქართულ ენაზეც კი საუბრობს, არსებობს საქართველოში დაბრუნების მსურველთა მცირე ნაკადიც. მაგრამ ასეთი ადამიანების უმეტესობა საქართველოში მყარად არ რჩება.

საქართველოდან წასულ ებრაელთა უკვე მეორე, და, უეჭველად, მესამე და მომდევნო თაობებში ქართული ენის ცოდნა მკვეთრად შემცირდება, ხოლო სამშობლოს გრძნობა გადაინაცვლებს ისრაელისა ან ახალი განსახლების სხვა სახელმწიფოს მიმართულებით. ეს სამწუხარო რეალობაა.

მადლი ქენი...

ზაალ ბოტკოველი

„სიკეთე ადამიანის შინაგან სამყაროში - ეს მზეა.“

ვიქტორ ჰიუგოს ამ გამონათქვამს თუ გავითვალისწინებთ, ჩვენს პლანეტაზე მზეთა დიდი დეფიციტი უნდა იყოს. ამ მოულოდნელად სასტიკ და უმკაცრეს 21-ე საუკუნეში, მართლაც რომ სანთლით საძებარია სიკეთე, სათნოება, მეგობრობა, თანადგომა, ერთგულება - ყველაფერი ის, რამაც აქამომდე მოიყვანა ცისფერი პლანეტა, უმშვენიერესი და ულამაზესი, რაც კი მზის სისტემაში არსებობს. ისიც კარგად ვიცით, რომ ამ სიკეთეების გარეშე დედამიწა დაიღუპება...

მე მინდა გიამბოთ ერთ დიდებულ ინიციატივაზე, რომელმაც ერთიანად შემძრა და ამაფორიაქა.

საქმე ის გახლავთ, რომ სულ ცოტახნის წინათ მარტვილის რაიონის სახელგანთქმულ სოფელ ბანძაში ჩატარდა აქცია „ჯანმრთელი სოფელი“. აქცია ისრაელის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის — „გულთა კავშირის“ თბილისისა და ქუთაისის ორგანიზაციების ეგიდით და ქუთაისის დავით ნაზარიშვილის სახელობის კლინიკის სამედიცინო პერსონალის და მისი მთავარი ექიმის ბატონ მერაბ კვიცარიძის პატრონაჟით განხორციელდა.

სანამ თხრობას გავაგრძელებდე, ორიოდე სიტყვა „გულთა კავშირის“ შესახებ: ეს საქველმოქმედო ფონდი 2017 წელს ისრაელის ქ. ხულონში დაფუძნდა და მისი დამფუძნებლები საქართველოდან ისრაელში საცხოვრებლად გამგზავრებული ქართველი ებრაელები იყვნენ და არიან: იაკობ აჯიაშვილი - მმართველი პარტია „ლიკუდის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი, ქველმოქმედი; მეგი ელიშაკოვი - ბიზნესმენი; ნანა დავარი - მწერალი; შოთა წვენიაშვილი - საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი; ნუგზარ ჯანაშვილი - მწერალი; შალვა წიწუაშვილი - ისტორიკოსი, პროფესორი; რობერტ ადარი (აჯიაშვილი) - მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის დესპანი ისრაელში; ბატონი რობერტ ადარი ამჟამად „გულთა კავშირის“ არჩეული მოქმედი პრეზიდენტია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ფონდის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელია ქართულ-ებრაული მუზეუმის დირექტორი, პროფესორი გივი ღამბაშიძე, ხოლო მისი მოადგილე ირინა ბიბილეიშვილი — საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროფესორი. ქუთაისის ორგანიზაციას კი მედიკოსი მერაბ კვიცარიძე უდგას სათავეში...

ზემოთ ვახსენე ბანძაში ჩატარებულმა აქციამ ერთიანად შემძრა-მეთქი. აბა, რა გითხრათ, ამ სტრიქონების ავტორს ებრაელთა სიყვარული და პატივისცემა წიგნებიდან არ უსწავლია. სკოლა რომ დავამთავრე, კლასში ოცდახუთნი ვიყავით და აქედან რვა ებრაელი იყო. თუმცა, მათი ებრაელობა მერე და მერე გავიგე, თორემ სკოლაში სწავლისას ყველანი ჩემთვის ჩვეულებრივი ქართველები იყვნენ. დღესაც ჩინებულად მახსოვს, მათი სახელები და გვარები: მაყვალა იოსებაშვილი და ლია ბინიაშვილი, სიმონ მიხელაშვილი და ზურაბ ჯინჯიხაშვილი, დავით მანაშეროვი და მიხეილ გორელაშვილი, არონ თოფჩიაშვილი და ბადრი ხასიდაშვილი. ღმერთმა ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა არ მოგაკლოთ, ჩემო ტკბილო მეგობრებო!

ხოდა, აბა, რატომ უნდა გამკვირვებოდა ამ აქციის ჩატარება. ამ აქციის სულისჩამდგმელი დავით აღმაშენებლის საზოგადოებიდან ჩემი ძველისძველი მეგობარი და თანამებრძოლი რობერტ ადარი იყო — ბანძაში დაბადებული და დავაჟკაცებული პიროვნება. თბილისში ჩამოსულმა თავისი გეგმები რომ გამანდო და ბანძაში წაყოლა მთხოვა, უყოყმანოდ დავთანხმდი. ვიფიქრე, რა დიდ საქმეს შესჭიდებია რობერტი, ბანძაში დარჩენილ თანამოძმე ებრაელების დახმარება რომ განუზრახავს-მეთქი. მისთვის არც არაფერი მიკითხავს, მაგრამ ბანძაში ჩასულს იქაურმა სოფლის გამგებელმა ქალბატონმა ლეილა კუტიამ რომ ამიხსნა, ამჟამად სოფელში, სანთლით რომ ეძებოთ, ერთ ებრაელს ვერ ნახავთო, ყელში ვეება გორგალი მომაწვა და რამდენჯერმე ცრემლიც კი მოვიწმინდე. ღმერთო, დიდებულო, ამისთანა მართლაც, რა მადლი და მირონი ჰქონია ღვთისმშობლის წილხვდომილ მიწას, რომ აქედან 40 წლის წინ წასული კაცი თავს ვალდებულად თვლის სიკეთით გადაუხადოს მადლობა მშობლიურ მიწა-წყალს...

აქციის მონაწილეთა შორის იყვნენ რობერტ ადარი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე ბაღათერ არაბული, მწერლები: ნაირა მარშანია, იანელ კოჭლამაზაშვილი, დავით შემოქმედელი, ზაალ ბოტკოველი, ბდს-ის აკადემიის რექტორი ნათია შათირიშვილი, ექიმი მანანა გაბუნია.

ბანძის საშუალო სკოლამ, მისმა დირექტორმა დონალდ ძაგანიამ ფართოდ გაუღო კარი ქუთაისელ ექიმებს და სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლებს: მერაბ კვიცარიძეს, ვახტანგ კვერნაძეს, ეკა ლომთაძეს, ცეზარ სანდუხაძეს, ვახტანგ მერკვილაძეს, თამუნა მიქიაშვილს, მარინა კახიძეს, მამუკა ხურციძეს, მაგდა იაშვილს, ეკატერინე ხარაბაძეს, თეონა იობაშვილს, მანანა ონიანს, მარიამ ტაბეშაძეს...

ქუთაისელი ექიმები ძალას და ენერგიას არ ზოგავდნენ, რათა მაქსიმალურად დახმარებოდნენ ბანძელებს მათი სამედიცინო პრობლემების მოგვარებაში. აქციის დასასრულს ექიმთა თავკაცმა — მერაბ კვიცარიძემ მეტად საგულისხმო განცხადებით მიმართა ბანძელებს: თითოეული თქვენგანი, ვინც ჩვენს

კლინიკას სამკურნალოდ მოაკითხავს, მკურნალობას უფასოდ ჩავუტარებთ.



რობერტ აჯიაშვილი-ადარი

მერაბ კვიცარიძე

მართლაც რომ გადამდებია სიკეთისა და სათნოების მაგალითები...

მეორე დღეს, 25 აპრილს, იმერეთის რეგიონში სახელმწიფოს რწმუნებული ზვიად შალამბერიძე შეხვდა აქციის მონაწილეებს, ქუთაისელ ექიმებს, მწერლებს, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა მერაბ კვიცარიძემ. ზვიად შალამბერიძემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც კი ამ მნიშვნელოვან აქციაში მიიღო მონაწილეობა და გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ სწორედ ასეთი ღონისძიებები განამტკიცებენ ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

შეხვედრა მიჰყავდა „გულთა კავშირის“ პრეზიდენტს რობერტ ადარს, რომელმაც ვრცლად ისაუბრა გუნდის საქმიანობაზე და სამომავლო გეგმებზე და ყველანი მიიპატიჟა ისრაელში რუსთაველის ძეგლის გახსნაზე. მან „გულთა კავშირის“ წევრის წიგნაკი გადასცა ბატონ ზვიად შალამბერიძეს და ქუთაისელ ექიმთა ერთ ჯგუფს.

სხდომაზე გამოვიდნენ: მაყვალა გონაშვილი, ბაღათერ არაბული, ნაირა მარშანია, ნათია შათირიშვილი, დავით შემოქმედელი, ზაალ ბოტკოველი, მანანა გაბუნია, ბესიკ ადამია, იანელ კოჭლამაზაშვილი.

მაყვალა გონაშვილმა ქართული კულტურის რაინდის სიგელი გადასცა ბ-ნ რობერტ ადარს, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს რამაზ ჩხიკვაძეს, „ამაგდარის“ სიგელები - ქუთაისელ ექიმებს - ეკა ლომთაძეს, ცეზარ სანდუხაძეს, თამუნა მიქიაშვილს, მამუკა ხურციძეს, მაგდა იაშვილს, ეკატერინე ხარაბაძეს, თეონა იობაშვილს, მაია გველესიანს, მარიამ ტაბეშაძეს, ქეთევან ჯუღელს, გოჩა ტოფაძეს, ოლღა კოლჩინას, ვაჟა ჯუღელს. „გულანის“ აკადემიის პრეზიდენტმა, ქალბატონმა ნაირა მარშანიამ დამსწრეთ ამცნო, რომ მერაბ კვიცარიძე არჩეულია ამ აკადემიის წევრად. ევროპული განათლების აკადემიის ბდს-ის პრეზიდენტმა ნათია შათირიშვილმა აკადემიის წევრობა მიულოცა ბ-ნ რობერტ ადარს და საჯაროდ გამოაცხადა, აკადემია ყოველწლიურად სასწავლებლად 6 ადგილს გამოუყოფს ბანძელ ახალგაზრდებსო. ბდს-ის აკადემიის წევრად არჩეულ იქნა იაკობ აჯიაშვილი.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქუთაისის მერის მოადგილე დავით ერემეიშვილი, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რამაზ ჩხიკვაძე, საკრებულოს წევრები: ელეონორა არჩაია და ალექსანდრე ახალაძე. ქუთაისის მერიის ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი გიგა ციბაძე, ებრაული საქველმოქმედო საზოგადოება „ხესედ-აბულის“ დირექტორი გიგა ხოტოველი.

ამ დღეების ერთ-ერთი ამაღელვებელი, სულშიჩამწვდომი მოვლენა გახლდათ ქუთაისელი მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი „ვალი“, რომელიც ცნობილი მწერლის, გურამ ბათიაშვილის პიესის მიხედვით დაიდგა. პატარები ამ სპექტაკლს, ისე კარგად თამაშობდნენ, ისე შთამბეჭდავად წარმოადგინეს ქართველი ებრაელების სულის მიმოხრები, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების გზაჯვარედინზე, რომ აუცილებლად უნდა ჩამოვთვალო მათი გვარ-სახელები: ლიზი ლელაძე, ლიზი ჩიხლაძე, ნინო კიკაბიძე, ლევან ასათიანი, მარიამ ფანცულაია, ანი ლელაძე, რეზო კურტანიძე.

ეს ბავშვები შეიძლება ვერ გამოვიდნენ დიდი მსახიობები, უფრო მეტიც, შეიძლება საერთოდ არ გამოვიდნენ მსახიობები, მაგრამ ორი ერის, ქართველთა და ებრაელთა ერების ძმობისა და მეგობრობის მეციხოვნენი რომ იქნებიან, წყალი არ გაუვა.

ერთი დიდი რომაელი — სახელად მარკუს ავრელიუსი რომ ერქვა, წერდა:

„ჯერ ერთი, არაფერი არ უნდა აკეთო უმიზნოდ და უმისამართოდ, მეორეც, ყველაფერი უნდა შეუთანხმო ერთადერთ მიზანს, ერთადერთ, ჭეშმარიტ, საერთო და საყოველთაო სიკეთეს“, ბრწყინვალე შეგონებაა. შემიძლია დავიფიცო, რომ „გულთა კავშირის“ ეს აქცია ამ შეგონების ყველა პუნქტს აკმაყოფილებდა.

* * *

რობერტ ადარს თბილისში შეხვედრები ჰქონდა საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში, საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტში შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს მამა ადამს. შეხვედრისას გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის თაობაზე, „გულთა კავშირის“ პრეზიდენტი ეწვია ბავშვთა ანსამბლს „გვირილა“ (ხელმძღვანელი — ერნა წიფურია და სხვ.

გვექნება ქართველ ებრაელთა ენციკლოპედია

ორი-სამი წელიწადია, რაც ისრაელში შეუდგნენ ქართველ ებრაელთა ენციკლოპედიის მომზადებას. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენი თემის ცხოვრებაში. როგორც სოციალური ქსელიდან შევიტყვეთ, შეიქმნა ენციკლოპედიის მოსამზადებელი სარედაქციო კოლეგია, რომელშც შევიდნენ ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელი მეცნიერები. სარედაქციო კოლეგიას ხელმძღვანელობს შალვა წიწუაშვილი — ადრეულ წლებში საქართველოს ებრაელთა დავით ბაასოვის სახ. ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი. ამ ფაქტთან დაკავშირებით „მ“ რამდენიმე კითხვით მიმართა შ. წიწუაშვილს:

1. იქნებ, გვესაუბროთ ქართველ ებრაელთა ენციკლოპედიის შექმნის წინაპირობაზე: რა ისტორიულ — შემოქმედებითმა პროცესმა განაპირობა ამ, მნიშვნელოვანი და ამავდროულად, ძალზე საპასუხისმგებლო ამოცანის დასხვა?

2. რა კრიტერიუმებით მიმდინარეობს ენციკლოპედიის შედგენა:

ა) როგორია საენციკლოპედიო პერსონალიების შედგენის პრინციპი,

ბ) რაგვარი სამეცნიერო, შემოქმედებითი, საზოგადო მოღვაწეობისა, თუ სხვ. ცენზის მქონე პიროვნებები ხვდებიან ენციკლოპედიის პესონალიებს შორის?

3. გთხოვთ ჩვენს მკითხველს წარუდგინოთ სარედაქციო კოლეგიის წევრები და ისიც აუწყოთ, თუ ვინ რომელ სფეროს კურირებს.

4. ცნობილია, რომ ჟურნალ „დროშის“ რედაქტორის, საქართველოდან გამოსულ აკადემაიმთა ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხაიმ ხუბელაშვილის მეთაურობით, მზადდებოდა ქართველ ებრაელთა ენციკლოპედია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იმ სარედაქციო კოლეგიამ საკმაო მოცულობის სამუშაო ჩაატარა. გამოიყენებთ თუ არა, დაგროვილ გამოცდილებას?

5. რომელი ორგანიზაციის ეგიდით მზადდება ენციკლოპედია — რამდენად ვართ დაზღვეული ისეთი მიკერძოებულობისა, თუ ტენდენციურობისაგან, როგორსაც ადგილი ჰქონდა თქვენივე ხელმძღვანელობით გამოცემული „ებრაული სიბრძნის წყაროს“ შედგენისას — კრებულში არ არის წარმოდგენილი ის ზოგიერთი ქართველი ებრაელი მოღვაწე, რომლებიც ცხადია, სხვებთან ერთად, ქმნიდნენ და ქმნიან ქართველი ებრაელობის სამეცნიერო, თუ შემოქმედებით სახეს?

6. ენციკლოპედიის პერსონალიათა შორის მხოლოდ ქართველი ებრაელები იქნებიან წარმოდგენილნი, თუ ის არაებრაელი მოღვაწენიც, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართველი ებრაელობის ცხოვრებაში?

7. ენციკლოპედიაში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ პერსონალიები, თუ ის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, ფაქტები, საზოგადოებრივი, თუ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, რომლებმაც ზეგავლენა იქონიეს ქართველი ებრაელობის თანამედროვე სახით ჩამოყალიბებაზე?

8. რამდენ ტომად ივარაუდება ენციკლოპედია?

9. დაახლოებით როდის უნდა ველოდოთ ენციკლოპედიის გამოცემას?

მიხეილ ხუნდიაშვილი — „ხელოვანი, რომელიც ხატავს იმედს, იმედწართმეული ადამიანებისთვის!“

ესთერ ჯანაშვილი

მიხეილ ხუნდიაშვილის ნამუშევრები ამშვენებს ისრაელისა და საქართველოს ცნობილ სამხატვრო გალერეიებს, კერძო კოლექციებსა, თუ სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტებს.

მიხეილ ხუნდიაშვილმა 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. მისი პედაგოგები იყვნენ მიტო ხახუტაშვილი, დავით გაბიტაშვილი, ედუარდ ამბოკაძე და ქართული კულტურის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები. აკადემიაში შესვლამდე, მისი პირველი მასწავლებელი მიხეილ ჯანაშვილი იყო, რომლისგანაც მხატვარმა ბევრი რამ ისწავლა. მიხეილ ხუნდიაშვილი დღემდე ინარჩუნებს თბილ ურთიერთობას ბატონი მიშას ქალიშვილთან, ამერიკაში მოღვაწე უნიჭიერეს მხატვარ, ცისანა ჯანაშვილთან.

მხატვრის სურათებში მრავლადაა ადამიანური ყოფისთვის დამახასიათებელი, ამაღელვებელი ცხოვრებისეული პოეზია. უყურებ ნახატებს და ფიქრობ, რაოდენ შესანიშნავია გარემო, რომელიც ყოველი ჩვენგანის ირგვლივ ყოველდღიურად იშლება და ჩვენ მას ვერ აღვიქვამთ. ჩვენ მხოლოდ მხატვრის ტილოზე გამოსახულს და გაცოცხლებულს ვხედავთ, შევიგრძნობთ და მადლიერნი ვართ მისი, რომ ეს მშვენიერება ჩვენამდე მოიტანა, გაგვიცოცხლა.

ადამიანისა და გარემოს ერთიან ციკლად წარმოდგენა, მიხეილ ხუნდიაშვილის შემოქმედებაში ასახულია კლასიკური სიცხადითა და ჰარმონიულობით. მხატვარი მკაცრად იცავს აკადემიურ სიზუსტეს, ამავდროულად კი მისი ნახატები საოცარი მანერულობით გამოირჩევიან. მიხეილ ხუნდიაშვილისთვის მნიშვნელოვანია სივრცობრივი კომპოზიციით მძაფრი გამომხატველობა, რეალიზმამდე მიყვანილი ჰაერისა და სინათლის ცოცხალი ვიბრაცია, მდიდარი და სხივიანი ფერების წმინდა გრადაცია. მის ნახატებში ტონების, რეფლექსებისა და ელფერის მრავალმხრივი თამაში ამდიდრებს უბრალო ადამიანის სამყაროს და მხატვრულ ძალას ჩვეულებრივ

ყოფით საგნებსაც კი ანიჭებს.

მიხეილ ხუნდიაშვილი ისრაელში ამოსვლის შემდეგ, ნაყოფიერი, დაუღლელი შრომის შედეგად აღწევს დამსახურებულ წარმატებას და აღიარებას. ჩემს კითხვას, თუ რომელი ნამუშევარი ეძვირფასება მრავალი ნამუშევრებიდან, ბატონი მიხეილი პასუხობს::

მიხეილ ხუნდიაშვილი: ჩემი სადიპლომო ნამუშევარი — მე გამოვსახე ოჯახური იდილია. ჩემი ცოლი — ირინე და ჩემი ახალშობილი ვაჟი, დავითი ნატურიდან გადავხატე. მეკითხებით რომელი სურათია ჩემთვის ძვირფასი და გპასუხობთ: რა თქმა უნდა, ჩემი უსაყვარლესი ცოლშვილი — ოჯახური იდილია! მე ამ ნახატზე, ბავშვი თეთრ ნაჭერზე წარმოვადგინე, ახლადდაბადებული სუფთაა, უცოდველი! ირინე კი წითელ სამოსელში გამოვსახე. წითელი ფერი ხომ მიწიერი არსებობის სიმბოლოა! და ბოლოს: პიკასოს მშვიდობის მტრედი - მშვიდობის სიმბოლოდაა აღიარებული, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩემთვის! დიპლომის დაცვისას კორნელი სანაძესაც ზუსტად ასე განვუმარტე ეს ნახატი.

მიხეილ ხუნდიაშვილის სადიპლომო ნამუშევარი “დედობა”, მართლაც გულში ჩამწვდომი და ემოციური ნახატია. დედაშვილობა საოცარი ფენომენია, რაც მხატვარმაც კარგად უწყის, მისთვის დედაშვილური კავშირი მძლეთამძლეა და მშვენივრად ახერხებს ამ ემოციის მნახველებამდე მოტანას.ხელოვნების მისიაც ხომ ის არის, აისახოს ყველაფერი ძვირფასი კაცობრიობისთვის — დაგვანახოს, გვაგრძნობინოს და განგვაცდევინოს ყველაზე უხილავი ძაფები, რომლებიც მხატვრისგან დამთვალიერებელზეც გადადის.

მისი მრავალფეროვანი შემოქმედების გაცნობისას, ერთნაირი სიმძაფრით აღვიქვამთ პორტრეტებს, პეიზაჟებს, ისტორიული ჟანრის სურათებს, რელიგიურ თემაზე შექმნილ ნახატებს. ნატურიდან დახატულს, თუ მხატვრის გონებაში მომწიფებულ სიუჟეტებს. გასაოცარი სიზუსტით, მოხდენილი ხაზებით და ფერებით გადმოგვცემს ყველაფერს, რასაც კი მხატვრის ფუნჯი მოისურვებს! უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ ხუნდიაშვილის შემოქმედებაში მრავალი სურათი ებრაულ თემატიკას ეძღვნება.

იგი პირველად 1988 წელს იყო ისრაელში. ფირზე აღბეჭდა “ჯვრის მონასტერი” და მდიდარი ფოტომასალა საქართველოში მეგობრებს საჩუქრად ჩამოუტანა.

მ. ხ: დავიბადე ქ. სენაკში 1956 წელს. მამა ვანიდან იყო. დედა — ბანძიდან. დავამთავრე მე- 3 საშუალო სკოლა. ექვსი წლის ასაკიდან ვხატავდი. ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დედაჩემის სიყვარულმა ხელოვნებისადმი. დედა მოდელიორი მყავდა. ხშირად მიხატავდა მშვენიერ ბუნებას, ყვავილებს და მეცპატარაობიდანვე ჩამესახა მხატვრობის სიყვარული. მამამ მიმიყვანა იმ დროს მოღვაწე მხატვარ, ბიჭუნა ბარქაიასთან, მაშინ ის ხემძღვანელობდა აკაკი ხორავას სახ. თეატრს. ამავე დროს იყო სცენოგრაფი. მისმა შემოქმედებამ არნახული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და უფრო გამიმყარა სურვილი გავმხდარიყავი მხატვარი. 1973 წელს დავამთავრე სკოლა და გადავწყვიტე ჩამებარებინა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ გამოცდები უკვე დაწყებული იყო. მამამ მიმიყვანა იმ დროის საქვეყნოდ ცნობილ მხატვართან, ბატონ მიშა ჯანაშვილთან, რომელსაც სახელოსნო ნუცუბიძის ქუჩაზე ჰქონდა. მასთან გავიცანი მისი უმშვენიერესი და უნიჭიერესი ქალიშვილი ცისანა და ვაჟი, დათო. აგრეთვე მისი მეუღლეც. თბილმა მიღებამ არნახული შთაბეჭდილება იქონია ჩემზე. ბატონ მიშასთან იმ დროს სწავლობდა ელი ჯანაშვილიც, რომლის ნამუშევრებმაც გამაოცეს. მომეცა დიდი მოტივაცია სურვილი და მიზანი რეალობად მექცია — გავმხდარიყავი მხატვარი. ჩემზე აგრეთვე იმოქმედა ქალბატონი ცისანას ფერწერულმა ნამუშევრებმა. იმ დროს ქალბატონი ცისანა ამთავრებდა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელელს. ჩვენ დავესწარით მის სადიპლომო დაცვას. ქ-ნი ცისანას სადიპლომო ნახატმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ბ-ნ მიშა ჯანაშვილთან გავიცანი რომან კრიხელიც, ცისანას მაზლი, ის იმ დროსაც სასწაულ ნამუშევრებს ქმნიდა, ჩვენ დავმეგობრდით. ბატონი მიშა დამეხმარა მოსამზადებელ კურსზე მოვწყობილიყავი და პარალელურად მასთან დავდიოდი სამეცადინოდ. ასეთი ინტენსიური სწავლა მთელი წელი გაგრძელდა. შემდეგ, ბატონი მიშა ოჯახთან ერთად ამოვიდა ისრაელში, მე საქართველოში დავრჩი მარტო, მათ გარეშე... ძალიან დამწყვიტა გული მათთან განშორებამ... იმ პერიოდში, ბატონ მიშასთან, მათ გამგზავრებამდე გავიცანი სოსო ჯინჯიხაშვილიც, ბრწყინვალე მხატვარი.

ასევე პროფესორი შალვა მარდახიაშვილი, პროფესორი ბორია ჩაჩანაშვილი და სხვები...

წარმატებით დავამთავრე მოსამზადებელი კურსები და 1975 წელს ჩავირიცხე სამხატვრო აკადემიაში, ჩემი მასწავლებლები იყვნენ პროფესორი დავით გაბიტაშვილი, მიტო ხახუტაშვილი, თენგიზ მირზაშვილი, თაზო ხუციშვილი. აკადემია დავამთავრე 1980 წელს, ფერწერის განხრით. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი იყო ოჯახური იდილია, რომელზეც უკვე ვისაუბრე. დიპლომი მეორე ხარისხით დავიცავი. დამთავრების შემდეგ ვმოღვაწეობდი ყველა საერთაშორისო და რესპუბლიკურ გამოფენაზე. 1986 წელს მიმიღეს საქართველოს მხატვართა კავშირის წევრად. შემდეგ მოსკოვმა მიმიღო მხატვართა კავშირის წევრად. ეს იყო1987 წელს., საქარველოს მხატვართა კავშირმა გადმომცა შემოქმედებითი სახელოსნო ბატონი ელგუჯა ამაშუკელის ხელმოწერით. სახელოსნო გავიფორმე და ნელ ნელა ვარემონტებდი, მაგრამ 1994 წელს დედის ავადმყოფობის გამო, მომიწია სასწრაფოდ ჩამოვსულიყავი ისრაელში, სამწუხაროდ, ვერაფერი ვუშველეთ. 1995 წელს ცოლშვილიც ამოვიდა ისრაელში. ირინემ ძალიან იყოჩაღა და მთელი ჩემი შემოქმედება თან წამომიღო. მე მამის ავადმყოფობის გამო ვერ მივდიოდი საქართველოში. ირაელში დავუკავშირდი ბატონ ხაიმ ხუბელაშვილს, რომელიც იმ დროს ხემძღვანელობდა ქართულენოვან ჟურნალ „დროშას," მან მეც და ჩემს ქალიშვილსაც დიდი ყურადღება მოგვაქცია. ხშირად აქვეყნებდა ჩვენს ნახატებს ჟურნალში და ძალიან დაგვეხმარა საკუთარი შემოქმედების პოპულარიზაციაში. 1995 წელს პირველი ჯგუფური გამოფენა მოგვიწყო ისრაელში ახალ ჩამოსულ მხატვრებს. ამ გამოფენაზე მიიღო მონაწილეობა ბატონმა სოსო აჯიაშვილმა. ის იყო იმ დროისათვის უძლიერესი მხატვარი-კერამიკოსი და მისმა ბროლის ლარნაკმა ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვა.

ჩემი და ჩემი ქალიშვილის პირველი პერსონალური გამოფენა ისრაელში 1996 წელს, ქალაქ რიშონში გალერეა ბეით ომანიმში შედგა. ბატონმა ხაიმ ხუბელაშვილმა ხალხით სავსე ორი ავტობუსი მოიყვანა ჩვენს გამოფენაზე. იქ გავიცანი მხატვარი რაფი მოშიაშვილი, ბატონი შაბთაი ცური, ბატონი სოსო ბარდანაშვილი, ლეო ბარდანი და ქალაქ რიშონის მერი — მეირ ნიცანი. გამოფენამ წარმატებით ჩაიარა, რიშონის ადგილობრივმა ტელევიზიამ ინტერვიუ აიღო ჩვენგან. ქალაქის მერმა შემომთავაზა ამ გალერეაში მიგვეღო სახელოსნო და სამუშაოდ დავჩენილიყავით მეც და ჩემი ქალიშვილიც — უნდოდა რომ რიშონის გალერეაში მხატვრად მეღვაწა. ჩვენ მივიღეთ ეს შემოთავაზება. მე დღემდე ვმოღვაწეობ ქალაქ რიშონ ლეციონის სამხატვრო გალერეაში.

ისრაელის მხატვართა კავშირში მომანიჭეს ისრაელის მხატვართა კავშირის წევრის წოდება. დღემდე ვმონაწილეობ გამოფენებში.

1990 წელს ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა გაიმართა საქართველოში, რუსთაველის თეატრში. ამ გამოფენაში მონაწილეობდა წგანსვენებული მიშა კრიხელი. ის იმ დროს საქართველოში წარმოადგენდა ისრაელის სოხნუტს.. ამ გამოფენაზე წავრდექი ჩემი პირველი კატალოგით. წარმოვადგინე პორტრეტების სერია. ჩემს მიერ ნატურაში შექმნილი პორტრეტები : ბატონი გიორგი ხუხაშვილის, ბატონი გურამ ბათიაშვილის, პროფესორი დავით ბააზოვის. „საქართველოს რაბინები," „ზღვის გაპობა," ძველი თბილისის პეიზაჟების სერია , ვერიკო ანჯაფარიძის პორტრეტი, „იუდაიკა..." დამერწმუნეთ, ეს იმ დროისათვის გაბედული ნაბიჯი იყო , რადგან ჯერ კიდევ კომუნისტური წყობა იყო. ამ ნახატების ხილვით ხალხი ხარობდა: ამდენი სისიტიანი რაბინი იმ დროისათვის არ ენახათ...

ესთერ ჯანაშვილი: ***თქვენს კატალოგში ნანა დავარის პორტრეტი ვნახე. ხომ არ გვიამბობთ როდის და როგორ შექმენით ყველასთვის საყვარელი ებრაელი პოეტი ქალბატონის პორტრეტი?***

მიხეილ ხუნდიაშვილი: 2010 წელს ეს სურათი აშდოდის „იად ლებანიმის“ საგამოფენო დარბაზში იყო წარმოდგენილი ბატონი მოშე ბოთერაშვილის თხოვნით და სულო სეფიაშვილის დახმარებით მომიწყეს პერსონალური გამოფენა, ნანა დავარი 1998 წ. დავხატე. ჩემი თხოვნით ქალბატონი ნანა სახელოსნოში მეწვია და ნატურიდან შევქმენი მისი პორტრეტი. ეს ერთ სეანსში მოვახერხე. მახსოვს, მაშინ ბატონი ზური ბოთერაშვილიც მყავდა მოწვეული. ნანას ქალიშვილიც იყო... რამდენიმე საათი ვმუშაობდი, შემდეგ, სახელოსნოში პორტრეტი მარტომ დავხვეწე და საუბილეო საღამოზე გადავეცი კიდეც ნანა დავარს! ოღონდ, მე არ დავსწრებივარ ამ საღამოს, ძალიან ავად ვიყავი. მე მას თბილისიდან ვიცნობდი: მხატვრის სახლში, თემურ გოცაძესთან მუშაობდა, დიდ პატივს ვცემდი, ის ნამდვილი პოეზიის დედოფალი ბრძანდებოდა, არაჩვეულებრივი პიროვნება იყო... 2018 წელი იყო, თუ არ ვცდები, როდესაც ბატონი ზური უდროოდ წავიდა. მე მისი პორტრეტიც დავხატე, რათა ქალბატონი ნანასთვის დარდი გამექარვებინა. სატელეფონო კავშირი მქონდა ქალბატონ ნანასთან, იმ დროს უკვე ავადმყოფობდა. ვიცოდი, რომ აპირებდა ჩემთან ჩამოსვლას, ერთად უნდა დაგვემთავრებინა ბატონი ზურის პორტრეტი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ უხაროდა, რომ მე, საკუთარი სურვილით შევქმენი ბატონ ზურის პრტრეტი. ზოგადად, ძალიან მიყვარს, როდესაც ადამიანებს ბედნიერებას ანიჭებს ჩემი შემოქმედება. მათი სიხარული და სიყვარული, ჩემთვის ხელოვნებისადმი გაღებული ხარკია, ამისათვის არც დრო მენანება და არც — საკუთარი თავი... ადამიანებისათვის იმედის ჩუქება შეგეძლოს, ეს ხომ ღმერთის ბოძებული ნიჭია? ასე შევქმენი 2001 წელს მომხდარი ტერაქტის თაობაზე ნამუშევარი. გახსოვთ, ალბათ, რაც დელფინარიუმში მოხდა... ამ ტერაქტის შემდეგ რამდენიმე წელი ვმუშაობდი, 12 პორტრეტი შევქმენი! ფერწერული ტილოები და ორიგინალები ტერაქტის მსხვერპლთა მშობლებს საჩუქრად გადავეცი — მეწადა , მათი ტკივილი ცოტათი

მაინც შემემსუბუქებინა და იმედი მეჩუქებინა მათთვის. ამ სურათზე სანთელი ანთია და 21 ბავშვის სილუეტი მიფრინავს ზეცაში, საიდანაც შუქი მოჩანს, ეს სურათი ძალიან ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე. შემდეგ სათითაოდ ნახავთ მათ პორტრეტებს, რომლებზეც თვეები და წლები ვიმუშავე. ყველა ნახატში, ბავშვების ბოლო დღის სიზმარი, ან ოცნება გამოვხატე. სურათის დაწყების წინ მათ მშობლებს ვესაუბრებოდი: რა მიზანი ჰქონდათ მათ შვილებს ცხოვრებაში, ან რა სიზმარი ნახეს წინა დღეს.... ეს სურათს უფრო შთამბეჭდავს და შინაარსიანს ხდის. მათი მშობლები დღემდე არ მივიწყებენ. რადიო „რეკა" წლების მანძილზე მიკავშირდება. ბატონ ალექს იშალომს მიჰყავდა გადაცემა, მე სულ თავს ვარიდებდი რადიოში სტუმრობას, მაგრამ, ამ ბავშვების მშობლები ყველა ინტერვიუში სიყვარულით მიხსენიებდნენ.

ე.ჯ: საოცარ ისტორიებს გვიყვებით, ბატონო მიხეილ, უღრმესი მადლობა. იქნებ, თქვენს ოჯახზე ვისაუბროთ — უნიჭიერესი შვილები და მეუღლე გყავთ. მათზე რას იტყვით?

მ.ხ. ჩემმა ქალიშვილმა მოდელირების უმაღლესი სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. ჰყავს ვაჟი — რამი და ორი ქალიშვილი. 6 და 4 წლის გოგონები, რომლებიც ასევე არაჩვეულებრივად ხატავენ. ვაჟი სტუდენტია, მან

უკვე წარმატებით მოიარა ჯარი. ჩემს გოგონას საქართველოში ხათუნად იცნობდნენ, დღეს მისი ფსევდონიმია ემილიანა აგნუს, მეორე შვილი, დავითი, კომპიუტერული გრაფიკის სპეციალისტია. ჰყავს ორი ვაჟი, ხუთი და ათი წლის. ჩემი უმცროსი ვაჟი, მიშელი, სტუდენტია. ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს. ჩემი უძვირფასესი მეუღლე, ირინე, მუშაობს„კლალიტის" ცენტრში , მედიკამენტების შემმომწმებლად.

ე.ჯ: ყველა ხელოვანს ჰყავს მუზა... ადამიანი, რომელიც აღაფრთოვანებს, შთააგონებს და ეხმარება წარმატების მიღწევაში. თქვენ ვის მიიჩნევდით შთაგონების წყაროდ?

მ.ხ: პირველ რიგშო, ღმერთი მეხმარება, მას უნდა რომ ვხატო. შემდეგ კი, ჩემი მეუღლე, ირინე. სტუდენტობიდან მოყოლებული ისაა ჩემი ნატურაც, მუზაც და შთაგონების წყაროც. სხვათა შორის, ირინეც ბრწყინვალედ ხატავს, ლექსებს წერს. მალე აპირებს კრებულის გამოცემას. მან თეილიმიც გალექსა. უკვე რამდენიმე წელია აქტიურად მუშაობს. თეილიმის ასორმოცდაათი თავის გალექსვა ძალიან რთული იყო. ახლა კორექტირებას უკეთებს თავის ნაშრომს უფლის წყალობით, მალე წიგნად ვიხილავთ. ირინე სურამიდანაა. მამამისი, მიშელ დავარაშვილი აბრამ ხვოლესის პირველი თალმიდი იყო ცხინვალში, ბეით დინის განხრით, ჩემს ნახატებში ებრაულ თემატიკაზე შექმნილ სიუჟეტში ყველგან ჩემი სიმამრი მყავს ციციტით გამოსახული. სტუდენტობისამისგან დიდი დახმარება მახსოვს: მოსკოვიდან ფერებს, თუ სხვა საჭირო ნივთებს მიგზავნიდა. ჩემი მეუღლის დედა, ზინა ჯანაშვილიც სურამიდანაა. ის მირო ბააზოვის ქალიშვილი გახლდათ. დავით ბააზოვის, რიბკა ბააზოვის შვილიშვილი. მუდამ იცავდნენ ქაშრუთს და შაბათს. მე არ ვიყავი მორწმუნე, მაგრამ რაც ირინე შევირთე, მას შემდეგ დღემდე ვინახავთ შაბათს. ირინეს ლექსები შალვა წიწუაშვილის ახალ წინგშია დაბეჭდილი. თუ არ ვცდები ქართულ ანთოლოგიაში. მე ჩემი ოჯახით ვარ ძლიერი, მათი დამსახურებაა ჩემი წარმატება...

ე.ჯ: როგორ გახსენდებათ თბილისი, იქ გატარებული წლები?

მ.ხ: მე აკადემიაში ისეთ დროს ვსწავლობდი, როცა იქ იყვნენ გიორგი ბუღაძე, ლევან ლაღიძე, გია გუგუშვილი. ჩემს კურზე სწავლობდნენ: ბესო არბოლიშვილი, შალვა მატუაშვილი, გურამ წიკლაური, გელა მანჯავიძე, თამრიკო სარჩიმელიძე და მარინე უჯმაჯურიძე. ესენი ყველანი ნიჭიერი მხატვრები იყვნენ. დიდ მოკითხვას ვუგზავნი ისრაელიდან ჩემს კურსელებს, ჯგუფელებს, ნაცნობებს... თბილისი ძალიან მიყვარს. ყველა ჩემი ამხანაგი მახსოვს. ისრაელში რთულმა აბსორბციამ, ცხოვრების აქაურმა სწრაფმა ტემპმა და რეჟიმმა, არ მომცა საშუალება, თბილისი მომენახულებინა. დღემდე ვერ ჩავედი საქართველოში.

ძვირფასო ქართველებო, თბილისელებო! გიგზავნით გულითად სალამს და დიდ სიყვარულს ისრაელიდან! პატივისცემით, თქვენი მიხეილ ხუნდიაშვილი!

მათემატიკოსი ალექსანდრე ხვოლესი

შესრულდა 100 წელი დოქტორ ალექსანდრე (იაშა) ხვოლესის დაბადებიდან. 1920წ. 27 ნოემბერს ქ.ცხინვალში დიდი რაბის — აბრამ ხვოლესის უმცროსი ვაჟის — რეუბენის ოჯახში დაიბადა ალექსანდრე (იაშა) ხვოლესი. რაბი აბრამ ხვოლესის შთამომავლობა ნიჭიერებით და სწავლის სურვილით გამოირჩეოდა, მათ შორის იაშა ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ: სკოლაშივე სხარტი აზროვნებით, ნიჭიერებით ხასიათდებოდა. ხუთმეტი წლის ჭაბუკმა წარჩინებით დაამთავრა შრომითი საშუალო სკოლა, 1941 წელს კი 20 წლის იაშა ხვოლესმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. იმავე წელს, აკადემიკოს ვ. კუპრაძის რეკომენდაციით მეცნიერებათა აკადემიის "მოამბეში" გამოქვეყნდა მისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ფრედჰოლმის მესამე გვარის ინტეგრალურ განტოლებებს ეძღვნებოდა. 1942 წ. მარტში კი წითელი არმიის რიგებში მოხალისედ წავიდა. განსაკუთრებით თბილად იგონებდა ომში წასვლის წინ იმ გაცილებას და დალოცვას, რომელიც თანაკურსელის, შემდგომში ცნობილი მეცნიერის — გვანჯი მანიას მამამ მოუწყო. სამჯერ დაიჭრა. მთავრობის მრავალი ჯილდო მიიღო: მათს შორის წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენები.1949წ. 29 წლის ასაკში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია:"ფრედჰოლმის მესამე გვარის ინტეგრალური განტოლებები". მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი კად. ვ.კუპრაძე იყო. დისერტაციის დაცვის შემდეგ, იაშამ მუშაობა მშობლიური ცხინვალის (იმხანად ქ.სტალინირის) პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო, სადაც პრორექტორის თანამდებობასაც ითავსებდა. აქ იგი საერთო სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა.

1952 წ. იაშა ხვოლესი მუშაობას იწყებს ქ.თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. ამ დროს იაშამ გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგები კერძო წარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში. პარალელურად თბილისის ა.პუშკინის სახ. ინსტიტუტშიც მოღვაწეობს. 1958წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა გამოთვლითი ცენტრი, აქ მიიზიდეს ცნობილი მათემატიკოსები,მათს შორის, ბატონი იაშაც.

იმ დროისათვის საქართველოში აქტუალური თემატიკა იყო მაღლივი თაღოვანი კაშხლების პროექტირება და მშენებლობა.ამ თემატიკაში მან პროფესორებთან: თ.ცხადაისა და ვ.ჟღენტთან ერთად, მიიღო საინტერესო შედეგები, რომლებიც ფუძემდებლური გამოდგა თაღოვანი კაშხლების გეომეტრიის ანალიზურ აღწერაში.შემდგომში ალექსანდრე ხვოლესს გამოთვლით ცენტრში დაევალა მათემატიკური პროგრამირების განყოფილების დაფუძნება და განვითარება. აქ მუშაობისას გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი შრომები კერძო წარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში. ამ განყოფილებაში ი.ხვოლესს მიეცა შესაძლებლობა წამოეყენებინა და მათემატიკურად გადაეწყვიტა მნიშვნელოვანი სამეურნეო-ეკონომიკური ამოცანები.

ქ.ნოვოსიბირსკიდან საქართველოში დაბრუნებულმა აკადემიკოსმა ი.ვეკუამ აკადემიის ა.რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში შემოიკრიბა ნიჭიერი მათემატიკოსები.მათ რიცხვში ალექსანდრე ხვოლესიც იყო, რომელმაც აქ მოღვაწეობისას გამოაქვეყნა ნაშრომები ი.ვეკუას გარსთა თეორიის ზოგიერთი ამოცანის, მათ შორის, ცვლადკვეთიანი ფილის ამოხსნის შესახებ, 1966წ. აკადემიკოსი ი.ვეკუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აყალიბებს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს,სადაც ჯერ პროგრამირების, ხოლო შემდეგ საინჟინრო და ფიზიკური ამოცანების განყოფილების გამგედ დაინიშნა ა.ხვოლესი. აქ განსაკურებით ფართოდ გამოვლინდა მისი, როგორც მეცნიერ-ორგანიზატორის, დიდი ნიჭი. მის განყოფილებაში წყდებოდა მნიშვნელოვანი საინჟინრო-ფიზიკური ამოცანები ისეთ დარგებში,როგორებიცაა სამშენებლო მექანიკა (მაღლივი თაღოვანი კაშხლების სიმტკიცე), ნაგებობათა სეისმომედეგობა, საინჟინრო სეისმოლოგია, კრისტალოგრაფია, პლაზმის თეორია, რენტგენოსტრუქტურული ანალიზი, მიკროელექტრონიკის სქემების ტოპოლოგია, მოლეკულური ქიმია და სხვ. ეს ჩამონათვალი თვალნათლივ გვიჩვენებს, მისი მეცნიერული მოღვაწეობის ფართო დიაპაზონს. ცხადია, რომ ამ ამოცანებს ის მარტო ვერ გადაწყვეტდა,ამიტომაც შემოიკრიბა მრავალი ნიჭიერი მათემატიკოსი და ფიზიკოსი,მათ შორის ბევრი ებრაული წარმოშობის, რასაც ის არ ერიდებოდა.

ა.ხვოლესი ი.ვეკუას სახ. მათემატიკის ინსტიტუტში ისრაელში ალიამდე — 1990 წლამდე მუშაობდა. აქ იგი სიამოვნებით და პატივისცემით იხსენებდა საქართველოში, განსაკურებით ამ ინსტიტუტში გატარებულ პერიოდს, სადაც 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის,ასევე საზღვარგარეთის გამოცემებში.ეს ნაშრომები ეხება პოლარული სინგულარობის მქონე ფრედჰოლმის განტოლებათა სრული თეორიის აგებას,შედგენილი ტიპის განტოლებათა თეორიის მთელი რიგი ამოცანების ამოხსნას, ი.ვეკუას გარსთა თეორიის ზოგიერთი ამოცანის ამოხსნას და სხვ. იაშა ხვოლესი მრავალი საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეა,მათშორის 1966 წელს მოსკოვში გამართული მათემატიკოსთა მსოფლიო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა, სადაც მისმა გამოსვლამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.ისრაელში ალიის შემდეგაც განაგრძობს აქტიურ ცხოვრებას მათემატიკური მოღვაწეობის ხაზით,რეგულარულად მონაწილეობდა თელ-ავივის უნივერსიტეტში პროფ. ი.ჰოხბერგის, იეჰუდა და შომრონის აკადემიურ კოლეჯში პროფ.მ.დრახლინის სემინარებში ,ვაჟიშვილ, მათემატიკის დოქტორ აბენ ხვოლესთან თანაავტორობით აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომს კერძო წარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში და სხვ.მისი ბოლოდროინდელი პუბლიკაციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილ ჟურნალ "მათემატიკა სკოლაში" 2010წ. მე-10 ნომერში გამოქვეყნებული კოშის უტოლობის (თეორემის) მარტივი დამტკიცება, რამაც შემდგომში ხვოლესის მეთოდის სახელი მიიღო და ფართო გამოყენება ჰპოვა.

იაშა ხვოლესს დიდი ღვაწლი მიუძღვის ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან თბილისში ჩამოსული ებრაელი მეცნიერების ისრაელში ალიის საქმეში — იმ მძიმე წლებში მრავალი ლტოლვილი ებრაელი მეცნიერის თბილისში სპეციალობით სამსახურში მოწყობასა და ისრაელში ალიის ხელისშეწყობაში, მათგან ზოგიერთი თვეობით მის ოჯახში ცხოვრობდა. მას ამ მეტად კეთილშობილურ საქმეში მხარში ედგა დიდებული მეუღლე, ექიმი პოლიგლოტი ქალბატონი ესთერ (ესია) ცეიტლინი.იგი წარმოშობით რიგიდან გახლდათ. მამამისი — იეჰიხისკიელი მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში რიგის ებრაული ბანკის მმართველი იყო. თვითონ ქალბატონ ესთერს ფართო ჰუმანიტარული განათლება რიგის ებრაულ გიმნაზიაში ჰქონდა მიღებული. ფლობდა რუსულ, ქართულ, ებრაულ (ივრითს და იდიშს), ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს.

ალესანდრე ხვოლესი 97 წლის ასაკში — 2017 წლის 1 ნოემბერს იერუშალაიმში გარდაიცვალა; დაიკრძალა იერუშალაიმის გივათ შმუელის სასაფლაოზე მეუღლის — ქალბატონ ესთერ ცეიტლინის გვერდით.

დღეს ხვოლესების ოჯახის ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობენ მათი ვაჟი მათემატიკოსი აბენ ხვოლესი და შვილიშვილები.

მოშე დანიელი — მოსე დანიელაშვილი,
მეცნიერებათა დოქტორი,
არიელის უნივერსიტეტის
პროფესორი

სამედიცინო სფეროს მკვლევარი ებრაელი ექიმები საქართველოდან

(დასაწყისი იხ. „მ“ №3,4)

რაულ ბინიაურიშვილი Raoul Biniaurishvili (ბინი) - მოსკოვის სეჩენოვის სახ. სამედიცინო აკადემიის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული მაღალკვალიფიცირებული ნევროლოგი, ფსიქიატრი და ძილის დარღვევათა ექსპერტი გახლავთ. 1978 წ. დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია თემაზე: „საფეთქლის ეპილეფსიის ძილ-ღვიძილის ციკლის კლინიკურ-ფიზიოლოგიური ანალიზი“. რეზიდენტურა Mt. Sinai School of Medicine, ნიუ- იორკში გაიარა. 20-ზე მეტი წლის პრაქტიკა აქვს ნევროლოგიაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის: დარღვევები თავის ტვინის, ზურგის ტვინის, პერიფერიული ნერვების, კუნთების. მკურნალობს პაციენტებს თავის ტკივილი, ინსულტის, დემენცია, კრუნჩხვები, ეპილეფსია, გაფანტული სკლეროზის, ძილის დარღვევები და კუნთოვანი დაავადებების დიაგნოზით. გახლავთ აფილილერებული კლინიკებთან Thomas Jefferson University Hospital, Aria Hospitals, Robert Wood Johnson University Hospital, and the Princeton Medical Center, როგორც კლინიკური ინსტრუქტორი. ამერიკული საბჭოს ძილის მედიცინის სფეროში დიპლომანტია. წარმატებით მკურნალობს ყველა სახის ძილის დარღვევებს, მათ შორის ძილის აპნოე, კიდურების მოძრაობის დარღვევები, უძილობა და ნარკოპლექსია.

მერაბ სარელი Merab Sareli (იზრაელაშვილი) – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ხაიმ შიბას სახ. სამედიცინო ცენტრის ონკოლოგიური ქირურგიის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი; სარძევე ჯირკვლის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქირურგიულ დაავადებათა ექსპერტი საქართველოში; აშშ-ის,

ევროპისა და აზიის რიგი ქვეყნების ქირურგიულ და ონკოლოგიურ საზოგადოებათა წევრი, მათ შორის: ჰეპატოლოგთა მსოფლიო ასოციაციის (შვეცია) წევრი და ინტერნაციონალური გასტრო-ქირურგიული კლუბის (საბერძნეთი) ნამდვილი წევრი. ოთხი პატენტისა და რიგი მეთოდური დამუშავებების, 130 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მოსკოვის ონკოლოგიური ცენტრის სამეცნიერო საბჭოზე იცავს (1985 წ.) სადოქტორო დისერტაციას. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრის გამგის სტატუსს უთავსებდა საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ორი ქირურგიული განყოფილების კლინიკური ხელმძღვანელის თანამდებობას. მისი ინტერესი იხრებოდა ღვიძლის რეზექციის გავლენის შესწავლისაკენ კუჭის სეკრეტორულ ფუნქციის ექსპერიმენტში. 1990 წელს წარსდგა თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე საჩვენებელი ლექციით. 1992 წელს ამოვიდა ისრაელში და შიბას სახ. სამედიცინო ცენტრის ონკოლოგიური ქირურგიის განყოფილების წამყვან სპეციალისტად მსახურობს. სათავეში იდგა საერთაშორისო ფონდი

„სტენტ“-ის ჩამოყალიბების პერიოდში. ამას გარდა, მუშაობს ჯანდაცვის სადაზღვევო მომსახურების სხვადასხვა ფონდში.

რეუვენ ელიგერი Ruben Eliger (რობერტ ელიგულაშვილი) - წარჩინებით დაამთავრა ბაქოს სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. მუშაობას იწყებს თბილისის მეორე კლინიკურ საავადმყოფოში ქირურგიულ განყოფილებაში. მოსკოვში განაგრძო დახელოვნება ღვიძლის ქირურგიაში და ამ პროფილით შეასრულა საკვალიფიკაციო დისერტაცია. 10 წლის განმავლობაში იყო ქირურგიული განყოფილების გამგე თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, კითხულობდა ლექციებს სამედიცინო ინსტიტუტში. ამჟამად, ისრაელში აქვს ქირურგი – სპეციალისტის წოდება, მუშაობს მთავარ ექიმად კაპლანის საავადმყოფოში, ასწავლის იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში, ხელმძღვანელობს კლინიკებს კუპათ ხოლიმ “ქლალით”-ში, “მაკაბი”-ში და “ლეუმით”-ში. დ-რი ელიგერი ატარებს ფართო სპექტრის ოპერაციებს: კუჭ-ნაწლავზე, თიაქარის, სარძევე ჯირკვალის, პროქტოლოგიურ და ლაპაროსკოპიულს კაპლანის და ასუტას საავადმყოფოებში.

რაულ ფიჩხაძე Raul Picchadze - სმოლენსკის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული (1973წ.), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პრიორის სახ. ტრავმატოლოგია-ორთოპედიის ცენტრალური სამედიცინო კვლევითი ცენტრის დეპარტამენტის უფროსი გახლდათ. მენაშე ჩიკვაშვილის სამაგალითო ექიმთა დინასტიის შთამომავალი, მშობლების გზას გაჰყვა: დედა, ქალბატონი ლია ჩიკვაშვილი - რენტგენოლოგი, მამა, მიხაილ ფიჩხაძე - ნერვოპათოლოგი. პროფესორ ფიჩხაძის მიერ შექმნილია პრინციპულად ახალი დონის ძვალთა მოტეხილობათა ფიქსაციის ბიომექანიკური კონცეპტი და მოდელები. ეს სამეცნიერო კვლევა გამოქვეყნებულია 300-ზე მეტ ნაშრომად: მათ შორის სასწავლო ინსტრუქციები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და ვრცელი მიმოხილვები რუსულად, ინგლისურად და ივრითზე. 2018 წელს დასტამბული ბუკლეტი ძვირფასი ილუსტრაცია არის იმისა, თუ რამდენად სასარგებლოა ექიმთა დახელოვნების სალექციო კურსში, რომელსაც პროფესორი ფიჩხაძე კითხულობს ასაფჰაროფესა და შაარეი აცედეკის სამედიცინო ცენტრში. დაპატენტებული აქვს 85 გამოგონება ოსთეოსინთეზის საკითხებში და განაგრძობს მოდელთა მოდიფიკაციას. აღჭურვილი გარკვეული გამოცდილებით მენჯის დაზიანებების მკურნალობის შემთხვევაში, გამოსცა ატლასი

„კიდურების და მენჯის მოტეხილობა (ბიომექანიკური კლასიფიკაცია). - ონდონ - მოსკოვი: Blue Chip გამომცემლობა, 2002. - 176 გვ. მოცემულია ტექნიკური აღწერილობა ფიჩხაძის მიერ გამოგონებული აპარატურისა მონოპოლარული და პოლიპოლარული გრძელი და მენჯის

ძვლების ფრაგმენტების ფიქსაციის. მოღვაწეობს საავადმყოფოში შაარეი აცედეკ - ქირურგი- ორთოპედი. რაულ ფიჩხაძის ოჯახი წარმატებულ დასტაქართა მაგალითია: მეუღლე - კარდიოლოგი, ქალიშვილები: ლიკა - ლორენგოლოგი საავადმყოფო „ აემეკში,“ ოლგამ დაიმკვიდრა თავის რენტგენო-რადიოლოგის სტატუსი - „შაარეი აცედეკში“. ახალგაზრდა სპეციალისტს დაევალა საავადმყოფოს სასწავლო-საგამანათლებლო სემინარების მომზადება- ჩატარება.

მანანა ლაპიდუს Manana Lapidus (ჯანაშვილი) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1974 წ.), ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტში განაგრძობს სტაჟირებას და სამეცნიერო კვლევას.

1986 წ. კარდიოლოგია და იმუნოლოგიაში დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია თემაზე:

„გულის იშემიური დაავადების იმუნური ასპექტები, მიოკარდიტი და კარდიომიოპათია“. კარდიოლოგიაში ნაყოფიერი პრაქტიკა საქართველოში შეიძინა. 1990 წელს აშშ-ში გადადის და ბალტიმორში განაგრძობს ზრდას და დახელოვნებას კლინიკურ კარდიოლოგიაში, ფსიქიატრიაში, ქირურგიულ ნეიროფიზიოლოგიაში. რეზიდენტურა გაიარა აიმონიდეს ედიცალ ჩენტერ და 2014 წლიდან ვეტერანთა დეპარტამენტის მთავარი ფსიქიატრია Hampton Medical Center, Virginia state, უძღვება ფსიქიური ჯანმრთელობის პრობლემების სამსახურს ამბულატორულ განყოფილებაში. განუწყვეტლივ განაგრძობს სამეცნიერო კვლევებს, არის სადოქტორო ნამუშავართა ხელმძღვანელი და პროგრამების კოორდინატორი. მრავლად წარმოდგენილ პუბლიკაციათა შორის, აღსანიშნავია ნეიროფიზიოლოგიაში გამოქვეყნებული ნაშრომი „ინტრაკრანიალური ცერებრალური იშემიური დაავადების მაღალი რისკის კავკასიური რასის პაციენტების პოსტკარდიოქირურგიული ოპერაციების შემდგომი მკურნალობა“; „პერსპექტიული გრძივი შესწავლა სეზონურობის გავლენა აფრიკელ სტუდენტებში დიდი ჭასჰინგტონ არეში“. გამოქვეყნებული აქვს მიმოხილვები: „ანთებითი პროცესები, თავის ტვინის ტრავმული დაზიანება და თვითმკვლელობა“; „სეზონური ცვლილებებით გამოწვეული განწყობის გაუარესება“. თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის საკითხებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ალცგეიმერის დაავადების პროგნოზირებაში, მკურნალობასა და ანალიზში. აქვს გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია, როგორც წიგნებში ისე ვრცელ მიმოხილვებში: „განწყობის დარღვევები და სუიციდი“.

მიხაილ ციციაშვილი Michael Tsitsiashvili - განათლება მე -2 I პიროგოვის სახ.(1975) ინსტიტუტში მიიღო. მე-4 ქირურგიული განყოფილების სამეცნიერო ხელმძღვანელი, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის ეროვნული სამეცნიერო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ დაავადებათა განყოფილების პროფესორი. მოღვაწეობს 1982 წლიდან რუსეთის სამეცნიერო-კვლევითი სამედიცინო უნივერსიტეტში, ქირურგიული დაავადებათა განყოფილებაში, პედიატრიულ ფაკულტეტზე. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ქირურგიის და სისხლძარღვთა ქირურგიის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი სამკურნალო დარგში (1975 წლიდან). კვლევის სფერო: კოპოპროტოლოგია,ზოგადი, კარდიოვასკულური, გულმკერდის ქირურგია, ონკოლოგია. რუსეთის ქირურგთა საზოგადოების წევრი.

მერაბ კრიხელი Merab Kricheli - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული. მან დაასრულა რეზიდენტურა ზოგად ქირურგიაში კათედრაზე SUNY at Stony Brook, 1991 წელს და კერძო ქირურგიულ პრაქტიკას შეუდგა. 2006 წლიდან ount Sinai Beth Israel გახდა ქირურგიული განყოფილების უფროსი და ვიცე-თავმჯდომარე. ამავე დროს ის ინარჩუნებს კერძო პრაქტიკას. სპეციალისტი

გახლავთ კუჭ-ნაწლავის, ადენოკარცინომის, თიაქარის, მკერდის, ფილტვის ემბოლიის, ელენთის და ღვიძლის დაზიანებათა ოპერაციების და ინვაზიური მეთოდის, ლაპაროსკოპია. დოქტორი ავტორია რამდენიმე რეცენზირებული სტატიის მსოფლიოში აღიარებული სამედიცინო ჟურნალებში. ასოცირებული პროფესორი The Mount Sinai Hospital Mount Sinai Brooklyn, ხშირად ურთიერთქმედებს სამრეწველო კომპანიებთან; ხელსაწყოებისა და ბიოტექნოლოგიების სიახლეთა შესაძენად პაციენტთა მოვლის გასაუმჯობესებლად.

merica’s Top Surgeons დასახელებულია 1998-99 წ.

გურამ ხარაზი (ხარაზიშვილი) - ცხოვრების გზად მედიცინა აირჩია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო

ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გაიტაცა მეცნიერებამ. 1985 წ. ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1989 დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებელად გრიფით „იმუნოლოგია და ალერგოლოგია“ თემაზე “ზოგიერთი სოციალ-ეკონომიკური და ფიზიკური ფაქტორის გავლენის თავისებურებანი ბრონქული ასთმის გავრცელებასა და მიმდინარეობაზე მსხვილი სამრეწველო ქალაქის პირობებში“. როგორც ასპირანტურაში სწავლების პერიოდში, ასევე მის შემდეგაც მისი შრომები ქვეყნდებოდა პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. მოხსენებებით გამოდიოდა საერთაშორისო კონგრესებზე. 1992 წ. ისრაელში ამოდის, უმოკლეს ხანში იღებს უფლება-ლიცენზიას და წარმატებით აგრძელებს სამედიცინო პრაქტიკას.

იური ბუზიაშვილი Yuri Buziashvili - დაამთავრა სამკურნალო ფაკულტეტი სეჩენოვის სახ. 1 სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (1977 წ.). 1990 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება (1993). 1977 წლიდან - მუშაობს ბაკულევის სახ. გულის ქირურგიის და სისხლძარღვთა სამეცნიერო ცენტრში. 1989 წლიდან - ლაბორატორიის გამგე ფუნქციური დიაგნოსტიკის, ამჟამად კლინიკურ-სადიაგნოსტიკო განყოფილების. 1999 წ.-დღემდე - დირექტორის მოადგილე გულის ქირურგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში და კლინიკურ-სადიაგნოსტიკო განყოფილების უფროსი. 2011-13 წწ. -

მოსკოვის ჯანდაცვის დეპარტამენტის მთავარი კარდიოლოგი. გახლავთ ავტორი ნოვატორული შემუშავებული და დანერგილი მეთოდების. შეისწავლა ფიზიოლოგიურ მექანიზმებზე ლაზერული გავლენა მიოკარდიუმზე, რომლებიც საფუძვლად დაედება ტრანსმიოკარდიუმის ლაზერულ რევასკულარიზაციას. ავტორი 650-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 18 მონოგრაფია, 7 სახელმძღვანელო; სამეცნიერო ხელმწყვანელია 12 სადოქტორო და 50-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაციის. 2006 წელს მიენიჭა რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 2013 წელს არჩეულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

მიხაელ პეერ Michael Peer (მურთაზ ფიჩხაძე) - სარატოვის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა (1977 წ.). ინტერნატურა განაგრძო ნეიროქირურგიის სპეციალიზაციით და მსახურობს სარატოვში კლინიკაში; პარალელურად სამეცნიერო კვლევას შეუდგა. 1986 წ. ქალაქ კიევში დაიცვა საკვალიფიკაციო ნაშრომი ნეიროქირურგიაში, ჰ. 1989 წლიდან აგრძელებს ნეიროქირურგიულ პრაქტიკას თბილისის სპეციალიზირებულ საავადმყოფოში. 1994 წლიდან ისრაელში, იერუშალაიმის წამყვან კლინიკაში Hadassah Ein Kerem მსახურობს ნეიროქირურგიის განყოფილებაში. 2000 წლიდან ისრაელის სამხედრო სამსახურის ექიმად.

მალხაზ ალონი Malkhaz Alon (ელუაშვილი) – , ჰ. 1971 წელს ჩაირიცხა ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე. 1977 წელს თბილისის სამედიცინო

ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, სადაც კლინიკური ორდინატურა გაიარა რენტგენოლოგიასა და რადიოლოგიაში. ინიშნება თბილისის ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის ინსტიტუტში რენტგენოლოგიის განყოფილების გამგედ. თიანეთის რეგიონალურ საავადმყოფოში მიან-გინეკოლოგად მუშაობდა. 1985-87 წწ. ლენინგრადის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ორდინატორი მიან-გინეკოლოგიის კათედრაზე, შემდგომ მოსკოვის სემაშკოს სახ. სამედიცინო უნივერსიტეტში აგრძელებს მოღვაწეობას. 1989 წელს დაიცვა დისერტაცია „აირ-თხევადი ქრომატოგრაფიის მნიშვნელობა საკეისრო კვეთის ანაერობული გართულებების დიაგნოსტიკაში“. ამ პერიოდში აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალებში კვლევის შედეგებს, რეგისტრირებული პატენტის ავტორია, მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში. 1990 წელს ისრაელში ამოდის და ექიმის ლიცენზიის მფლობელი ხდება, პრაქტიკულად შეუდგა სპეციალობით მუშაობას: ტელ-აშომერის, ზივის, ვოლფსონის საავადმყოფოების გინეკოლოგიური განყოფილების რეზიდენტი; სხვადასხვა ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებში მსახურობს. 2008 წელს დაარსა და ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამედიცინო კომპანიას “Exclusive Medical Services Worldwide Ltd”. 50 წლის სტაჟიან დასტაქარს აქვს მრავალი სპეციალიზაცია: უმაღლესი ხარისხის მიან-გინეკოლოგი, რენტგენოლოგ-რადიოლოგი, ექიმი-გერიატრი და ოჯახის ექიმი.

(გაგრძელება იქნება)

მწვადიაურში

წიგნიდან „სახეები და სიტუაციები“

გურამ გათიაშვილი

განა მხოლოდ თბილისში, ისრაელშიც არის მწვადიაური („შიფუდიმ“). ისევე როგორც დიღომისას, არც ამ მწვადიაურს აკლია მიმსვლელ-სტუმარი. ქალაქ ხოლონიდან გასასვლელში, ვიდრე თელავივის ლაბირინთებში გაეხვეოდეთ, ერთი მაღლივი კორპუსის პირველ სართულზე შუააზიიდან ჩამოსულ ე.წ. „ბუხარელ ებრაელს“ გაუხსნია ეს „შიფუდიმ“ და ბედს არ უნდა ემდუროდეს. ასეთი მწვადიაური კიდევ სამი ჰქონია და მიმსვლელ-სტუმარი არ ილევაო — აქ ხუთ-ექვსნაირ მწვადს მოგართმევენ და კარგ ლუდსაც მოაყოლებენ. ხოლო არაბული წესითა და სუნელებით შეზავებულ მისაყოლებელს, თვლა არა აქვს.

ჩემი ბავშვობის მეგობარმა-- შოთა სეფიაშვილმა — ჩემზე 5-6 თვით უფროსია, სადაცაა 83 წლისა გახდება, არ მომასვენა: აქაურ მწვადიაურში უნდა წაგიყვანოო. წავედით. იქ მისი ქვისლი — მორდეხი გველოდა. მორდეხი ჩვენზე კარგა უფროსია — 89 წლისაა, მაგრამ ჭაბუკურად გამოიყურება, არც ნაბიჯი ერევა, არც სიტყვა ეშლება. ჯანიც შესწევს და არც ცხოვრების ხალისი აკლია. მორდეხი სენაკში ჩვენი მეზობელი იყო. გვენათესავება კიდეც. მერე თბილისში გადმოსახლდა და დაბეჯითებით ვერ ვიტყვი თბილისში როგორ უფრო იყო ცნობილი: როგორც კარგი მომლხენი და მომღერალი, თუ როგორც შეჭირვებულთა ხელის გამმართავი. იმ დღეს, „მწვადიაურში“ გამაოცა მისმა მეხსიერებამ — დავსხედით და არაბული სუნელებით შეზავებული „ზაკუსკა“ მოგვართვეს თუ არა, შოთა გორგოძე გაიხსენა:

— რა კაცი იყო — პატიოსნებითა და ადამიანის სიყვარულით განათებული სული ედგა — მასთან ერთად მოლხენაზე ილაპარაკა და დასძინა — მინისტრი იყო და კაცს რომ ციხეში სვამდა, ძალიან განიცდიდა. ცხრა აპრილის დილას ხალხის გვერდით დადგა — თანამდებობის შენარჩუნებაზე კი არ უფიქრია, ის კი არ აწუხებდა, იქ, ზემოთ, რას მეტყვიანო, თავისი ხალხის მდგომარეობა უწეწავდა ნერვებს.

მე ილიკო, მოსიაშვილი გავიხსენე, ამ დღეებში მისი მეუღლე — ლიანა სეფიაშვილი აღესრულა. შვილებმა გამოაცხადეს კორონა მძვინვარებს — სამძიმარზე, გასვენებაზე ნუ მოხვალთ, ტელეფონით შეგვეხმიანეთო. რომ არა ლიანას გულითადი თანადგომა, ილიკო საქართველოში ვერც ამდენ პროექტს განახორციელებდა, ვერც ბაზალეთის ტბის პირას დიდებულ დასასვენებელ კომპლექსს წამომართავდა-მეთქი.

და შევუყევით მოგონებებს: იუდეველთა სახელმწიფოს გულისგულში ვისხედით ეს სამი ხანმორეული „ჰურიანი ქართველთა“ და ცოცხალთ, თუ გარდაცვლილ ქართველთ, იუდეველთ ვიგონებდით: მორდეხმა ჯუმბერ პატიაშვილი ხომ არის ცოცხალი, ქალაქში ქვეყანაში თუ ჩანსო. როგორ არა, ამასწინათ როინ მეტრეველის 80 წლის იუბილეზე ვნახე-მეთქი. მერე შალვა გორელაშვილი და რაფო ჩაჩანაშვილი ახსენა. მეც კარგად მახსოვს ეს ღირსეული კაცები — სხვათა ხელის გამმართავნი და დამფასებელნი. მათი კარგი საქმეებიც მახსოვს: დიდებული თვისება ჰქონდათ ამ ჩვენს „ცეხავიკებსა და „მაღაზიონერებს“(მაშინ ასე ეძახდნენ): კაცს, რომელიც მათნაირად არ იყო ჩაბმული შემოსავლიან საქმიანობაში და ხელფასით ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს, თუ რამ ქვეყნისთვის სასიკეთო გარჯას შეამჩნევდნენ, მეცნიერებას გახლდათ შეჭიდებული, თუ შემოქმედებით პრიცესში იყო ჩართული, ხელს უმართავდნენ, ცდილობდნენ სიდუხჭირე არ ეგრძნო. აქედან გამომდინარე, მათი მთავარი ღირსება ფინანსური ძლიერება — ბევრი ფული კი არ იყო, საზოგადო ინტერესებით ცხოვრება,

მეგობართა წრეში უშურველობა.

— სიმონ ჯანაშვილი? — კითხულობს შოთა — ისიც ხომ...

მუდამ მომღიმარი კაცი იყო სიმონ ჯანაშვილი — პირბადრი და კეთილად მომკითხავი.

— პურმარილის, მოლხენის დიდად მოყვარული — დასძენს მორდეხი.

— კარლო?

— აბა, კარლო?

— ზონენაშვილი. რა ბიჭი იყო!

კარლოზე ვსაუბრობთ, მისი და მისი — ქალიშვილისა--ლიკას ნაადრევ გაცლაზე წუთისოფლიდან.

მწვადები მზად არის და წაიღეთო, გვეძახიან. შოთას მწვადები მოაქვს. სხვადასხვანაირია

— ამის გარდა, ყველა მწვადია, ეს ქებაბია — გვაცნობს შოთა.

მწვადებმა მოგონებებს გზა გადაუღობა, მაგრამ წარსულის სურათები იმდენად ძლიერ აღბეჭდილა სულში, ცოტა ხანში მორდეხი კვლავ მას უბრუნდება:

— ერთხელ ხახამ ბენციონმა მითხრა, ჩემთან სახლში მოდიო. „შენ კარგი ხმა გაქვს და კარგადაც მღერი. ადამიანების სიმღერით ტკბობა კი დიდი მადლია. ახლა მე ერთ სიმღერას გასწავლი — იერუსალიმის მოტივზე გასწავლი და ასე უნდა იმღერო, არ გადაუხვიო“. მასწავლა. მას შემდეგ თითქმის სამოცდაათი წელიწადია. ისე ვმღერი, როგორც მასწავლა.

ხახამ ბენციონ ეფრემაშვილი — დინჯი, აუჩქარებელი მოძრაობის კაცი — ჩემი მასწავლებელიც იყო. მის შემყურეს ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ჩემს სულში იმზირებოდა, ჩემს ფიქრებს ათვალიერებდა. ამბობდნენ, წინასწარმეტყველური ნიჭით არისო დაჯილდოებული — მომავლის ამომცნობი კაციაო. წინა საუკუნის ოციან წლებში ახალგაზრდა სასულიერო მოღვაწე იყო. იერუსალიმიდან საქართველოში გამოგზავნეს, რამდენიმე წელიწადი დარჩი, ჩვენს ძმებს ებრაელობის რწმენა განუმტკიცეო. ისრაელში ვეღარ დაბრუნდა — ბოლშევიკებმა საზღვრები ჩაკეტეს და დარჩა საქართველოში. ერთხელ, რაღაცისათვის თავის სახლში გამგზავნა. მეუღლემ ქართული არ იცოდა — ძლივს გავაგებინე, რაც რაბიმ დამაბარა.

— სენაკის თეატრს ბიუჯეტი ისევ არა აქვს, ხომ? — მეკითხება მორდეხი — თქვენ პატარები ხართ და არ მოსწრებიხართ. რომ იცოდეთ, რა თეატრი იყო, რა მსახიობები!

შევარდნაძის დროს სახელმწიფო თეატრად გადაკეთდა და ფინანსდება კიდეც-მეთქი, ვამბობ .

— შენობა? ამხელა შენობას რა მოუვლის! — არ ისვენებს მორდეხი — კაი ხნისაა. ალბათ, იფშვნევა სულ!

— არა, რატომ! ივანიშვილმა საქართველოს ყველა თეატრს მოუარა. ყველა თეატრი ისე განაახლა, ავ თვალს არ ენახვება, სენაკის თეატრის განახლება სადაცაა დამთავრდება!

— კაი მოგცეს ღმერთმა, კაი რამე შენ მითხარი — გული გამიხალისდა!-მპასუხობს მორდეხი და დაუყონებლივ მეკითხება: მერე? რას შვრებიან არტისტები — ვარგიან რამედ?

— რა ვიცი, რა გითხრათ. ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემი პიესა დაიდგა მაგ თეატრში, ჩავედი. ვარგოდა, რატომაც არა! — ვამბობ და ვხედავ როგორ უნათდება მზერა მორდეხსაც და შოთასაც.

— ეეჰ, რო იცოდეთ, რა ბიჭები დადიოდნენ მაგ ქალაქში! — სინანულით ამბობს მორდეხი.

— სენაკში დღეს დათო ვახანიას სახელობის ქუჩა რომ არის, ის ნთუ გაიგეთ? — კითხულობს შოთა.

— დათო ვახანია? — ვერ ვიგონებ — მე სკოლა დავამთავრე თუ არა, უნივესიტეტში ჩავირიცხე. სენაკში (ქ.მიხაცხაკაია) მხოლოდ არდადაგებზე ჩავდიოდი და გული ზღვისკენ მიმიწევდა. შოთა კი პოლიტექნიკურში დაუსწრებელზე სწავლობდა, სენაკში კარგა ხანს იყო და უკეთ იცის.დაუყონებლივ მპასუხობს;

— ექიმი რომ იყო, როგორ არ გახსოვს!

— ჰო, კი, გამახსენდა.

— მაგარი ბიჭი იყო — განათლებული, წესიერი და კარგი ექიმიც! — დასძენს მორდეხი — კი, ბატონო, მაგარი ბიჭები დადიოდნენ მაგ ქალაქში!

— თეატრში დადგმული ჩემი პიესის სანახავად რომ ჩავედი, ნაცნობები ვერ ვნახე. ერთადერთი ბავშვობისდროიმდელი კაცი მელსი გრიგოლია იყო — სპექტაკლზე მოსულა.

— როგორ არი მელსი, რაფერ გამოიყურება? — მეკითხება შოთა.

— ნორმალურად, რა უჭირს. ეგ ხომ ძმებში უმცროსია.

— რას ამბობ, უმცროსი კოტე იყო.რა ღიმილი ჰქონდა, გახსოვთ?

— ის თუ იცით, მელსი რას ნიშნავს? — კითხულობს მორდეხი. შოთამ და მე ერთმანეთს გადავხედეთ. „რას უნდა ნიშნავდეს. ჩვეულებრივი სახელია“ ჩავილაპარაკე.

— მელსი წინა საუკუნის 30-იან წლებშია დაბადებული. მაშინ ასეთი ამბავი ხშირად იყო: მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი. ბელადების სახელების პირველი ასოები.

— კარგი, შენ ეს მითხარი — ის შენი მეგობარი როგორ არი — რა ერქვა? ჰო, ელიზბარი... გვარი გამახსენე.

— ჯაველიძე?

— ჰო ელიზბარ ჯაველიძე! სუ ჩხუბისკენ მიიწევდა, ძალიან კარგი გულის ბიჭი იყო. ხომ არი?

— კი როგორ არა! ეგ ბიჭი, სულ რომ საჩხუბრად მიიწევდა, დღეს აკადემიკოსია და ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი.

მორდეხმა ქაბაბი დანით გადასჭრა, ჩანგალი ჩაარჭო და იკითხა:

— აბა, ახლა ამნაირი ამბავი: ხომ ხართ თქვენ სენაკელები, ხომ იქ გაიზარდეთ. მე სუჯუნაში დავიბადე, მაგრამ სენაკელად ვთვლი თავს — ბიჭობა იქ გავატარე.

— ხომ მშვიდობაა, რა მოხდა! — იკითხა შოთამ

— ერთი შეკითხვა უნდა დავსვა და მიპასუხეთ. სამივემ გავცეთ პასუხი ამ კითხვას — მორდეხმა ქაბაბი აიღო, აუჩქრებლად ღეჭავს, ან რა ღეჭვა ამას უნდა, პირში ჩადებისთანავე ლამის დნება — კითხვის დასმას არ ჩქარობს.

— გვითხარი, რა არი ამნაირი, რას გვეკითხები!

— ჩვენი დროის სენაკის მეგრელებიდან ცუდი ბიჭი — ავი და უვარგისი რომელი იყო — გლახად რომელი დაგამახსოვრდათ?

ამ შეკითხვამ ღიმილი მოგვგვარა.

— ჰო, რა იყო — უბედურ და გაუტანელ კაცად რომელი შემორჩა მეხსიერებას — აღარა ხართ ბაღნები და კი უნდა იცოდეთ!

მე, ალბათ, შოთაც, გონების თვალით ჩვენი მშობლიური ქალაქის სკოლებს, ქუჩებს, პარკებს, ბიბლიოთეკას ვათვალიერებდით — იმ ადგილებს, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ვატარებდით და ის ადამიანები დაგვიდგა თვალწინ, ვისაც ხშირდ ვხვდებოდით. ვერაფერი მოვიგონეთ. შოთას გადავხედე. ფიქრში ჩაფლულიყო. დუმილი კარგა ხნის შემდეგ ისევ მორდეხმა დაარღვია:

— ვერავინ გაიხსენეთ, ხომ? კარგი! ახლა სხვა რამეს შეგეკითხებით: სონე ისრაელი? სონე ისრაელი თუ გახსოვთ ვინმე? — ჩაგვეკითხა ჩვენი პასუხის ლოდინით დაღლილი მორდეხი.

„სონე ისრაელ!“ ასე იტყვიან ებრაელთა მოძულე კაცზე, ადამიანზე, რომელიც ამათუიმ მიზეზითა, თუ სრულიად უმიზეზოდ, ებრაელობისადმი მტრულად არის განწყობილი.

ირგვლივ ადამიანები ფუსფუსებენ, დროდადრო რაღაცას შესძახებენ, აქ, ამ კუთხეში კი, რომელშიც სუფრას სამეგრელოდან წამოსული სამი სენაკელი იუდეველი მისხდომია, დუმილი გამეფებულა. თითქოს მწვადების დასაგემოვნებლად კი არა, აქ იმისთვის მოსულან, ამ ტაბლასთან იმისთვის ჩამომსხდარან, იმას უყურონ, თუ როგორი ოხშივარი ასდის მწვად-ქაბაბს.

— ტყუილად იწუხებთ თავს, ვერ მოიგონებთ. წუხელი სენაკზე ვფიქრობდი, სენაკელებზე და ვერაფერი ისეთი ვერ მოვიგონე.

ირგვლივ ადამიანები ისევ ფუსფუსებდნენ. მიდიოდნენ, მოდიოდნენ და არავის წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმაზე, ერთ ტაბლასთან მჯდომი ეს სამი კაცი „მწვადიაურში“ ასე ფიქრმორეული რატომ იყო.

ან საიდან უნდა ჰქონოდათ?

იუნესკომ თბილისი 2021 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქად დაასახელა. აღნიშნულთან დაკავშირებით, გამომცემლობა „ინტელექტთან“ პარტნიორობით, ისრაელის საელჩოაცხადებს (მოკლე) მოთხრობების კონკურსს შემდეგი პირობებით:

• კონკურსში მონაწილეობას შეძლებენ საქართველოს მოქალაქე 35 წლამდე ასაკის ავტორები, რომელთა ნაშრომები ამ დრომდე წიგნად არ გამოცემულა;

• მოთხრობა დაწერილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და არ აღემატებოდეს 20 გვერდს (ერთი გვერდი გულისხმობს, შყლფაენ-ის 11-იანი შრიფტით აკრეფილ ჭორდ-ის ერთ გვერდს);

• ამბავი უნდა ეხებოდეს (მათ შორის) ებრაელებს და/ან ისრაელის თემატიკას და დაკავშირებული იყოს თბილისსა და ქართულ საზოგადოებასთან;

• გაითვალისწინეთ: საელჩო არ განსაზღვრავს თუ რა კონკრეტული კუთხით იქნება დანახული და გადმოცემული საქართველოსა და ისრაელის/ებრაული თემის ურთიერთობა. შესაბამისად, ავტორებს შეუძლიათ გაამახვილონ ყურადღება ორმხრივ მეგობრობაზე, ტრადიციებზე და ისტორიაზე; ან პირიქით - ამ ურთიერთობის კრიტიკულ ასპექტებზე და რაიმე სერიოზული სოციალური საკითხი/პრობლემა წამოჭრან. საელჩო არ მიიჩნევს საჭიროდ, ჩაერიოს მოთხრობის შინაარსსა თუ მის ქვეტექსტსა და გზავნილში. ნამუშევრები შეფასდება დამოუკიდებელი ჟიურის წევრების მიერ მხოლოდ მათი მხატვრული ღირებულების შესაბამისად.

• მოთხრობებს შეაფასებს კოპეტენტური ჟიური - გამორჩეული მწერლები და ინტელექტუალები;

• 10 გამარჯვებული მოთხრობა ანთოლოგიის სახით გამოიცემა გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ;

• პირველი სამი ადგილის მფლობელი მიიღებს 1’500, 1’000 და 500 ლარის ჯილდოს;

• მოთხრობები უნდა გამოაგზავნოთ ელ. მისამართზე: Competition.israelingeorgia@gmail.com არაუგვიანეს 1 ივნისისა

გისურვებთ წარმატებებს!

ჯილიან მერრონი დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატაში

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა ბარონესა ჯილიან მერონს გაუგზავნა მისალმება — მიულოცა დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატაში შესვლა, ხაზი გაუსვა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესში ურთიერთ თანამშრომლობას და წარმატებები უსურვა ამ ერთობ პრესტჟულ სარბიელზე.

15 აპრილს დიდი ბრიტანეთის ებრაელობის წარმომადგენელთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს — ჯილიან მერომს ამ სახელმწიფოს პერის ტიტული სამუდამოდ ებოძა და თავისი ადგილი დაიკავა ლორდთა პალატაში. შარშან, დეკემბერში გამოცხადდა, რომ ჯილიან მერომს პერის ტიტული ებოძება და ლორდთა პალატის წევრი გახდება. მიმდინარე წლის იანვარში ჯილიან მერომმა დიდი ბრიტანეთის ებრაელობის წარმომადგენელთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადადგომა გამოაცხადა. ამ პოსტს იგი 2014 წლიდან იკავებდა, ამას გარდა, 13 წლის განმავლობაში იგი გახლდათ ინგლისის პარლამენტის წევრი ლეიბორისტული პარტიიდან.

სავალალო სტატისტიკა

ისრაელის დამოუკიდებლობის აღდგენის 73 წლისთავის წინ — აპრილში, სახელმწიფოს ცენტრალურმა სტატისტიკურმა ბიურომ (ცსბ), ისევე როგორც წინა წლებში, ამჯერადაც გამოაქვეყნა მონაცემები სახელმწიფოში დემოგრაფიული მდგომარეობის თაობაზე: გამოქვეყნებულმა სტატისტიკურმა სურათმა ყოველი ეროვნული სახელმწიფოს სავალალო მდგომარეობა დაადასტურა: ისრაელში კლებულობს სატიტულე ერის — ამ შემთხვევაში, ცხადია, ებრაელთა რაოდენობა. სადღეისოდ, ისრაელის მოსახლეობის 73.9% ებრაელობა გახლავთ, სამი წლის წინ, ე.ი. ისრაელის დამოუკიდებლობის აღდგენის 70-ე წლისთავზე, ეს მაჩვენებელი სულ სხვაგვარი იყო: ებრაელობა ისრაელის მოსახლეობის 74.5% შეადგენდა, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენისას — ე.ი 73 წლის წინათ, 82.1%. ცსბ მონაცემებით, დღეს ისრაელში ცხოვრობს, 9 მილიონ 327 ათასი ადამიანი. ამათგან ექვსი მილიონ 894 ათასი ებრაელია, ერთი მილიონ 966 ათასი აღმოსავლური წარმოშობის ეროვნული და რელიგიური უმცირესობები: მუსლიმი არაბები, ქრისტიანი არაბები, დრუზები, ქრისტიანი სომხები და ბედუინები.ისრაელის მოსახლეობის 467 ათასი ადამიანი ქრისტიანული წარმოშობის არაარაბული, სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელია. ამ სიაში შედის აგრეთვე ის ნაწილი, რომელიც დარეგისტრირდა, როგორც აგნოსტიკოსი და ათეისტი — არცერთ რელიგიას არ მიაკუთვნებენ თავს.

ბოლო 12 თვის განმავლობაში ამ ებრაული სახელმწიფოს მოსახლეობა 137 ათასი ადამიანით გაიზარდა, ე.ი ნამატია 1.5%. დაიბადა 167 ათასი ბავშვი, გარდაიცვალა 50 ათასამდე ადამიანი, მუდმივ მაცხოვრებლად ჩავიდა 16.600 რეპატრიანტი, ამათი მესამედი რუსეთიდანაა, ნახევარს კი არა-რა პროფესია არა გააჩნია. ცსბ მონაცემებით, ისრაელის მოსახლეობის 28.1 % 14 წლამდე ასაკისაა, 12% — 65 წლისა და მეტის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისრაელის მოსახლეობაში ახალგაზრდობა ჭარბობს.

რევაზ შათაშვილის ხსოვნას

მინდა ღრმა მწუახარება გამოვთქვა და სამძიმარი ვუთხრა რეზოს ოჯახს - მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს, ძმას და მის მეგობრებს და ახლობლებს.

მაქვს პატივი და ვთვლი თავს მის ერთერთ მეგობრად და მინდა გითხრათ, რომ რეზოს სახით - კარგი ადამიანი, ებრაული სულის მქონე პიროვნება, ძლიერი პარტნიორი, ხესედის და ებრაული სახლის

დიდი გულშემატკივარი და პატრიოტი, გამოგვაცალა განგებამ. რეზო იყო მკაცრი და სამართლიანი ხელმძღვანელი, რომელმაც დიდი ხნის წინ იტვირთა „ხესედ ელიაჰუზე“ დაკისრებული მოვალეობის

პირნათლად შესრულება. რეზო გახლდათ პერფექციონისტი და მიღწეული ხარისხით არასდროს კმაყოფილდებოდა, ძალისხმევას არ იშურებდა მისი კიდევ გაუმჯობესებისათვის, რადგან ხარისხიანი სერვისების და საინტერესო პროგრამების თემისთვის შეთავაზება, პირად ამოცანად მიაჩნდა ბოლო 20 წლის მანძილზე.

ამ 20 წლიდან 10, ერთად გავიარეთ და ის, ჩვენი საკეთებელი საქმისადმი, ყოველთვის პრინციპული და ვაჟკაცური, გულწრფელი და ერთგული იყო ნებისმიერ სიტუაციაში.

„ხესედ ელიაჰუ“ არის ერთერთი საუკეთესო საჩვენებელი ორგანიზაცია, რომელსაც მაგალითად მოიხსენიებდნენ მთელი ჯოინთის სისტემის ფარგლებში უმაღლეს დონეზე.

ჯერ კიდევ უამრავ სატელეფონო ზარებს და სამძიმრის წერილებს ვღებულობ ამ შემზარავი ამბით დამწუხრებული ადამიანებისგან, ვინც რევაზ შათაშვილს, როგორც გულანთებულ ქართველ ებრაელს და მაღალი დონის პროფესიონალად იცნობდა.

მე ის ძალიან დამაკლდება ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ნათელში იყოს რევაზ შათაშვილის სული და მსუბუქი იყოს მისი სხეულისთვის ქართული მიწა.

დიდი პატივისცემით,

ზოჰარ დავიდ (ზურაბ დავითაშვილი)
ჯოინთის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში

პატივცემულ შათაშვილების ოჯახს და საქართველოს ებრაულ თემს,

გამოვხატავთ გულწრფელ სამძიმარს და ვგლოვობთ პატივცემული რევაზ მიხეილის-ძე შათაშვილის ნაადრევი გარდაცვალების გამო.

მის მიერ შეტანილი უზარმაზარი, მრავალწლიანი წვლილი საქართველოს ებრაული თემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მის მიერ გამოჩენილი სათნოება და დახმარება, აიგივებს მას სამყაროს ცადიკებთან.

კურთხეულ იქნას სახელი მისი, ხსოვნა მის შესახებ და სული მისი!

პატივისცემითა და მწუხარებით,

მეგობრობის ფონდი

ა მ ა გ დ ა რ ი

ტკივილი ერთობ მწარეა, რადგან საქართველოს ებრაელობას, მართლაც, ღირსეული ადამიანი გამოეცალა.

პროფესიით ექიმი — ბ-ნი რევაზი მრავალი წელი ხელმძღვანელობდა დაწესებულებას, რომელიც მშველელად, შემწედ ევლინება საქართველოს ებრაელობის (და არა მხოლოდ მისი!) იმ ნაწილს, რომელიც შეჭირვებას განიცდის. „ჯოინთის“ ებრაელთა სახლის მესვეურთა სტილი, სამეურვეო პირებისადმა აღმოჩენილი დახმარების რაობა, ერთგვარად განაპირობებს ჯამაათში ნორმალური კლიმატის ჩამოყალიბებას, რადგან შეუძლებელია, ჯამაათის წევრები კარგად გრძნობდნენ თავს, როცა მათი მოძმენი, ახლობელნი, თუ მეზობლები, ქრონიკულ გასაჭირს განიცდიან და მშველელი არსაით არის. „ხესედ ელიაჰუ“ კი ის მშველელია, შეჭირვების ტვირთს რომ უმსუბუქებს ჯამაათის გარკვეულ კონტიგენტს. რასაკვირველია, ეს დადებითად მოქმედებს თემში ჯანსაღი კლიმატის ჩამოყალიბებაზე. რეზო შათაშვილი კი ის პიროვნება აღმოჩნდა, რომელსაც კარგად ესმოდა „ხესედ ელიაჰუს“ წინაშე არსებული ამოცანა და უძღვებოდა კიდეც მას. მისი ხელმძღვანელობის წლები საქართველოში ომის, ეკონომიკური სიდუხჭირის ხანას დაემთხვა — ერთობ გაიზარდა „ხესედ ელიაჰუს“ დახმარების მომლოდინეთა რაოდენობა, მუშაობის მოცულობა. მიუხედავად ასეთი გამოწვევებისა, „ხესედ ელიაჰუ“ გახდა ასობით ადამიანის მშობლიური კერა. . ეს კი განპირობებული იყო იმით, რომ რეზო შათაშვილი ხასიათდებოდა, როგორც შრომისმოყვარე, კარგი მეოჯახე და ორგანიზატორი — საქართველოს ებრაელობის საჭიროებებში ჩახედული ადამიანი — ინარჩუნებდა პიროვნულ დამოუკიდებლობას, მიუხედავად ზეწოლისა, ცდილობდა და ახერხებდა კიდეც, არ გარეულიყო წარმოშობილ ინტრიგებში, რადგან ჰქონდა არა მხოლოდ თავისი ღირსება, თემისადმი სწორად სამსახურისაკენ მისწრაფება. ემსახურა თემს და წავიდა, როგორც ვალმოხდილი ადამიანი.

28 აპრილს — მისი უკანასკნელ გზაზე გაცილების ჟამს მის ამ ღირსებებზე ისაუბრეს რაბინმა ავიმელეხ როზენბლატმა, მწერალმა გურამ ბათიაშვილმა, „ჯოინთის“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ზოჰარ დავიდმა (ზურაბ დავითაშვილმა), „ჰილელის“ ხელმძღვანელმა მორის კრიხელმა, პროფესორმა თემურ მდინარაძემ.

იცხოვრა ადამიანმა, ემსახურა ჯამაათს და დატოვა კვალი ნათელი.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96

EAJC
EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003